ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 6 ოქტომბერი 2008 №230 (3454) ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატმა იმედი არ გაგვიცრუა
# დარდუბალა დაიწყო!

„მსაჯის დღევანდელმა მოქმედებამ ძველი რაიონული პირველობის თამაშები გამახსენა, სადაც ყიდვა-გაყიდვას ბოლო არ ჰქონდა. გადმონაშთები დღესაცაა ქართულ ფეხბურთში და ძირს უთხრის ყველაფერ კარგს“ — თქვა „სიონის“ მწვთრნელმა... „ხომ შეიძლება, მასპინძლები ვართ და 1-2 პროცენტით მაინც ჩვენკენ იმსაჯონ?!“ — აი, ასეთი დასამახსოვრებელი სიტყვები მოვისმინეთ ნამატჩევს, „ოლიმპის“ მეორე მწვრთნელისგან. აქა-იქ, გაწევ-გამოწევაც იყო. და ეს ყველაფერი საქართველოს ჩემპიონატის ერთ ტურში, რომელიც სულ ხუთ მატჩს მოიცავს... ეტყობა, თარსი კალამი გვქონია: ტურისწინა ანონსში ვწერდით, კარგია, რომ ამ სეზონში ჯერ ერთი სკანდალიც არ ყოფილა, ნეტავ, ასე გაგრძელდესო. ვინ გაცალა?! ისე, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციებზე ხანდახან ისეთ რამეს მოისმენ, უკეთეს დარდუბალას რომ ვერ ინატრებ...




# ჩვენ! მსოფლიოს ჩემპიონები ძიუდოს სამშობლოში





## ლევან მჭედლიძე!
## აი, ვინ დასცა იუვენტუსი

ლევან მჭედლიძემ პირველად შარშან ოქტომბერში აალაპარაკა საფეხბურთო იტალია. შოტლანდიასთან ისეთი გოლი გაიტანა, აპენინელთა ნაკრებს, ფაქტობრივად, ევროპის ჩემპიონატის ვიზა რომ ჩაუჯიბა.

...და გუშინ კიდევ ერთხელ მოექცა 18 წლის ქართველი საფეხბურთო იტალიის ეპიცენტრში.

ქრონოლოგიურად მივყვეთ: „იუვენტუსი“ — „პალერმოს“ 59-ე წუთზე ჩვენიანმა მარკ ბრეშიანო შეცვალა, ანგარიში 1:1 იყო და 81-ე წუთზე ქართველმა გადამწყვეტი გოლი შეაგდო. ეს მოხდა ტურინში, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ! იმ „იუვენტუსის“, რომელსაც ამ ზაფხულს სურდა მჭედლიძის შეძენა.

გოლი კი ასეთი იყო — ფაბიო სიმპლისიომ საჯარიმოში შეაყოლა ბურთი და ჩვენიანმა ერთი შეხებით, 13-14 მეტრიდან შეასრიალა კარში.

დიახ, „იუვე“ დასცა ბიჭმა, რომელსაც ამ მატჩამდე სერია A-ში მხოლოდ 12 წუთი ჰქონდა ნათამაშევი.

„პალერმო“ კი ამ ხუმრობა-ხუმრობაში მეხუთე ადგილზეა და ლიდერთან მხოლოდ ქულას აგებს.

*ლეგიონერული მიმოხილვა იხილეთ მეოთხე გვერდზე*

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · I წრე. 5 ტური

## ზესტაფონმა დინამოს წაგება გაუსამა

ბექან ჩხეიძე ზესტაფონიდან



**სატურნირო** ცხრილიდან გამომდინარე, ორი იმედგაცრუებული გუნდის დაპირისპირების ცენტრალურს ვერ უწოდებ, თუმცა ისიცაა, რომ რა პოზიციაზეც არ უნდა იყვნენ „დინამო“ და „ზესტაფონი“, ყოველთვის დიდი ინტრიგა იმალება მათ შეხლაში.

მატჩმაც მოლოდინი გაამართლა...

ამ თამაშის სანახავად ზესტაფონში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ახალგაზრდული ნაკრების ჯერაც თავკაცი პეტარ სეგრტი ჩამოვიდნენ.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებისა იყო — ჟილვან ვიეირას დარტყმულ ჯარიმას თანაგუნდელები ვერ მისწვდნენ. საპასუხო შეტევაში გიორგი ნერგაძემ იაქტიურა, სუსტად დაარტყა.

მე-9 წუთზე კი მატჩის ერთადერთი გოლი ვნახეთ: ვიეირამ საჯარიმოში ჩააწოდა და არეულობაში ბექა გოცირიძემ იხეირა — 1:0.

მე-12 წუთზე დავით ოდიკაძეს არ გამოუვიდა დარტყმა, 3-4 წუთში კი „დინამო“ კაცნაკლული დარჩა: ლევან ხმალაძემ იმდენი ქნა, რომ არბიტრს წითელი ბარათი დასტყუა.

22-ე წუთზე ისევ ვიეირამ იაქტიურა მარცხენა ფრთაზე, მის ჩაწოდებულს ირაკლი ძარია გამოეხმაურა, თუმცა მისი დარტყმული დიდიე ოვონომ გააუვნებლა.

ცოტა ხანში ჯერ მილოშ კრშკომ, შემდეგ კი გიორგი მერებაშვილმა მოსინჯეს მეკარის საიმედოობა...

ტაიმის ბოლოსკენ ისევ ზესტაფონელებმა იძალეს — ვიეირამ შორიდან გადაავლო ბურთი ოვონოს, მაგრამ გაბონელი მეკარე ბოლო წამს თითის წვერებით შესწვდა ბურთს.

როცა გუნდები შესვენებაზე გავიდნენ, სტადიონზე ქართველი ძიუდოისტების მსოფლიოს ჩემპიონობა გამოაცხადეს, რასაც ხალხი ოვაციებით შეხვდა...

გუნდებმა მეორე ნახევარიც შეტევებში ჩაატარეს.

50-ე წუთზე ბოიომო ფრიდოლინმა მეკარის ბაქანში მიაწოდა ბურთი თანამემამულე ერიკ რომეო ჩასემს, მაგრამ ოვონო უშეცდომო იყო. 53-ე წუთზე კი ნიკა კვასხვაძის გადაცემასაც ჩასემი გამოეხმაურა, მაგრამ მცველებმა ითამაშეს კარგად.

მერე „დინამომ“ თამაში დაალაგა, მაგრამ მომენტების შექმნა უჭირდა.

ბოლო წუთებზე ჯერ დონალდ ჯიუსს გაუცუდდა თავური, 89-ე წუთზე კი ოდიკაძემ ვერ მიარტყა ბურთს ფეხი და რეალური შანსი გაანიავა.

ზესტაფონი. 5 ოქტომბერი. 14 საათი. ცენტრალური. 3 000 მაყურებელი

### ზესტაფონი 1:0 დინამო

| | |
|---|---|
| 1:0 გოცირიძე (9) | |
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, ფრიდოლინი (შ. ლონლაძე 72), ბენაშვილი (ნ. კვასხვაძე 46), ჩასემი, ძარია (ლომაშვილი 67), ვიეირა, დაუშვილი, გ. ხიდეშელი, ბ. გოცირიძე. სათადარიგონი: ჭანტურია, სანტოსი, სტეფანიშვილი, რ. ონიანი. მწვრთნელი: თემურ მახარაძე | დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ხმალაძე, ნერგაძე (ფირცხალავა 38), ოდიკაძე, სპასოევიჩი (დილმელაშვილი 18), გ. მერებაშვილი, ვაწაძე (ჯიუსი 65). სათადარიგონი: ლორია, შ. კაშია, გველესიანი, ინწკირველი. მწვრთნელი: რაინერ ცობელი |
| გაფრთხილება: მერებაშვილი (17), ვიეირა (19) | |
| გაძევება: ხმალაძე (16) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ლ. თოდრია, მ. ბეუქლიშვილი | |
| დამკვირვებელი: მ. ჭელიძე; დელეგატი: ბ. მჭედლიშვილი | |

#### პრესკონფერენცია

*რაინერ ცობელი:* მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს ფეხბურთელებს, ბოლომდე იბრძოლეს. თავიდანვე მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით — ჩემთვის გაუგებარია თანამსაჯის საქციელი, ის ხომ სათამაშო მომენტიდან ოცი მეტრის დაშორებით იყო...

*თემურ მახარაძე:* მსაჯები ყველგან ცდებიან, მთელ მსოფლიოში, თუმცა ამ თემაზე ლაპარაკი არ მსურს. ჩემი ფეხბურთელები ნელ-ნელა იბრუნებენ ფორმას, ტრავმებიც აღარ გვაწუხებს და თამაშსაც ვუმატებთ. იმედია, ასეც გავაგრძელებთ.

## კორღალიძემ ყიდვა ახსენა. მაგრამ ვინ არის გადმონაშთი?

თბილისი. 4 ოქტომბერი. 14 საათი. ამერი. 700 მაყურებელი

### გაგრა 1:1 სიონი

| | |
|---|---|
| 0:1 კოშკაძე (59), 1:1 გაბედავა (90პ) | |
| გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, გიგაური, მგელაძე, გაბუნია, ტყეშელაშვილი (ხოკერაშვილი 80), გაბედავა, შარიქაძე (ფილია 46), ზ. დათუნაშვილი (ლალიანი 76), ზ. მეტრეველი. სათადარიგონი: ა. კოტრიკაძე, ლ. ხეთურიძე, ტეტუნაშვილი, აბაშიძე. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | სიონი: ბობღიაშვილი, კაკაშვილი, დ. სვანიძე, ქემოკლიძე, კობაური, კოშკაძე, დიდავა, ჩივაძე (ხუბუა 46), ქურასბედიანი (შ. ჯიქია 70), ს. დავითაშვილი, ს. იაშვილი (ლ. ბაჯელიძე 64). სათადარიგონი: ქვაჩახია; ზ. ჭელიძე, სანიკიძე, რ. გოცირიძე. მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე |
| გაფრთხილება: ქაჯაია (27), ჩივაძე (45), კაკაშვილი (60), გიგაური (66) | |
| გაძევება: ქემოკლიძე (90) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ა. გუნთაძე, ზვ. ერქვანია, მ. ურუშაძე | |


ბოლნისელები ამ ეპიზოდმა აღაშფოთა

ილია ნანობაშვილი

**ეტყობა,** თარსი კალამი გვქონია: ტურისწინა ანონსში ვწერდით, კარგია, რომ ამ სეზონში ჯერ ერთი სკანდალიც არ ყოფილა, ნეტავ, ასე გაგრძელდესო. ვინ გაცალა?

ის იყო, გიორგი ვადაჭკორიას მიერ მატჩისთვის დამატებული მეორე წუთიც იწურებოდა, როცა გაგრელებმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდეს, იქ კი სიონელმა რევაზ ქემოკლიძემ მასპინძელთა გიორგი გაბედავას მაისურაზე დაქაჩა და ვადაჭკორიამ პენალტი დანიშნა. თან ქემოკლიძეს წითელი ბარათიც უჩვენა.

თეთრი ნიშნულიდან თავად გაბედავამ დაარტყა და მართალია, მინდია ბობღიაშვილი კუთხეს მიუხვდა, ბურთმა ბადე მაინც ააფართხალა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, „სიონი“ წამატებულ დროში რომ მწარდება — გაიხსენეთ „ზესტაფონთან“ შინ გაშვებული გოლი.

...გაბედავას გოლს მსაჯს საფინალოდ ჩასტვენა და ბოლნისელი გულშემატკივრების „ორსართულიანიები“ მოჰყვა. ვადაჭკორია გვერდით მსაჯებთან ერთად მინდვრის ცენტრში ხუთიოდ წუთს იდგა და ქომაგების დაწყნარებას ელოდა, თუმც გასახდელში შესვლის დრომაც მოატანა და იქ კიდევ გაგრძელდა ლანძღვა-გინება.

ცუდია, ასეთი ამბები რომ ხდება. ფეხბურთს ნერვიულობა-დაძაბულობა უხდება, აგრესიას კი ვერასოდეს მიესალმებით. ზოგმა ისიც თქვა, თუნდაც წესების დარღვევა ყოფილიყო, ბოლო წუთზე ასეთ პენალტს ვინ დებსო. ეს ხომ უკვე სასაცილოა...

გაცხარებული იყო „სიონის“ თავკაცი ოთარ კორღალიძეც. ქართული ფეხბურთი თუ დაიღუპება, პირველ რიგში, მსაჯები დაღუპავენ, ასეთების ბრალია, გულშემატკივარი სტადიონზე რომ არ მოდისო.

ყველაზე დამაფიქრებელი და საინტერესო კი კორღალიძის ეს სიტყვებია: „მსაჯის დღევანდელმა მოქმედებამ ძველი რაიონული პირველობის თამაშები გამახსენა, სადაც ყიდვა-გაყიდვას ბოლო არ ჰქონდა. გადმონაშთები დღესაცაა ქართულ ფეხბურთში და ძირს უთხრის ყველაფერ კარგს“.

საინტერესოა, ვინ იგულისხმა კორღალიძემ გადმონაშთებში?

მთლიანობაში, თამაში დიდად საინტერესო ვერ გამოვიდა, პირველი ტაიმი ხომ საერთოდ შეუხედავი იყო.

„გაგრა“ უფრო ხშირად ფლობდა ბურთს, „სიონი“ კი სწრაფ ტემპში აგრესიულ კონტრშეტევებს მიმართავდა.

აი, მეორე ტაიმი უფრო თვალსასეირო გამოდგა, ბოლნისელებმა სირცე შეუზღუდეს მასპინძლებს, ბურთის კონტროლს აღარ აცლიდნენ, იქით დაეუფლნენ უპირატესობას და 59-ე წუთზე ანგარიშიც გახსნეს: კარგი კომბინაცია იყო, „სიონიდან“ საუკეთესო ალეკო კოშკაძეს საჯარიმოში მიუვიდა ბურთი, დროული პაუზა გააკეთა და რევაზ თევდორაძეს დაბალი დაურტყა — 0:1.

თამაშის სცენარი იგივე დარჩა, „გაგრა“ მაინცდამაინც არ გაწიწმატებულა და შეტევებში არ ჩაფლულა — ბოლნისელები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. მხოლოდ ერთხელ, გოლიდან ხუთ წუთში მიეცათ მასპინძლებს კარგი შანსი, როცა ზამორა დათუნაშვილი-თამაზ ჩარგეიშვილის კომბინაციის შემდეგ ერეკლე ფილია ბობღიაშვილს პირისპირ შეეყარა, მაგრამ...

„სიონი“ კოშკაძის მეთაურობით აგრძელებდა თამაშზე კონტროლს, კარგად შემოვიდა შეცვლაზე ლევან ბაჯელიძეც და სწორედ ამ ორმა გაითამაშა კომბინაცია, რის შემდეგაც სულიკო დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა. „აბრეზას“ წინ დერეფანი ჰქონდა, მაგრამ დარტყმა იჩქარა და თევდორაძეს ბურთი ხელებში მიუვიდა.

„სიონისთვის“ საბედისწერო ბოლო წუთამდე სახიფათო აღარაფერი ხდებოდა, გაბედავას აცილებულ საჯარიმოს თუ გამოვარჩევთ, ეს არის და ეს... ბოლოს კი იყო ის მომენტი, რითაც დავიწყეთ...

#### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* „სიონს“ გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს, ჩვენი გუნდი კი ახალგაზრდულია. ბიჭების უკმაყოფილო არ ვარ, ეგაა, „სიონს“, ასე ვთქვათ, ბახა-ბუხში აჰყვნენ. ჩვენთან არ გამოჩნდა ფეხბურთელი, თამაშს რომ დაალაგებდა. რაც შეეხება პენალტს, მე კარგად ვერ დავინახე, მსაჯი კი იქვე იდგა. ისე, წასაგები თამაში არ გვქონდა.

*ოთარ კორღალიძე:* ბოლნისში საგანგებო მუშაობა მიდის ქომაგების სტადიონზე მოსაყვანად, მაგრამ ასეთი მსაჯობის შემხედვარე... მეტოქეს თამაშით ვაჯობეთ, დავწინაურდით კიდეც, მაგრამ რად გინდა, მსაჯი ჩვენს კარში გამოგონილ პენალტს დებს და თან ფეხბურთელს აძევებს, ხოლო მანამდე მეტოქის კარში უეჭველ პენალტს არ ნიშნავს. რა უნდა ვიფიქრო თუ არა მსაჯის ყიდვა?!

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 5 ტური




# მგლები ვაკეში

თბილისი. 5 ოქტომბერი. 15 საათი. მ. მესხი. 1 000 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:1 მგლები

0:1 ფარულავა (59ს.კ.)

ლოკომოტივი: გ. ლომაია, ფარულავა, ლ. გრიგალაშვილი, კახელიშვილი, დ. ფოფხაძე (ბებუა 46), ზვ. ჩხეტიანი, ცქიტიშვილი, ვ. დარასელია, სამხარაძე (კ. მახარაძე 65), ჩირიკაშვილი (ბარბაქაძე 65), ალექსიძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი, ი. გილაური, კაიშაური, ჩაგელიშვილი
მწვრთნელები: გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე

მგლები: მამალაძე, ქითანავა (ი. ჯიშკარიანი 88), აქუბარდია, რეხვიაშვილი, გულორდავა (ლომია 72), ხუხია, გუჩუა, გ. მიქაბერიძე (დარსანია 90), ჯოჯუა, გ. თოდუა, ქუცურუა
სათადარიგონი: ქალდანი; ა. ბაჯელიძე, კ. ახალაია, ხარაძე
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: გულორდავა (10), კახელიშვილი (18), ჩხეტიანი (72), ქუცურუა (80), მახარაძე (86), ჯოჯუა (89), ალექსიძე (90)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი; ვ. ელისაბედაშვილი

**კობა ინასარიძე**

**ესეც** ამ საიუბილეო ჩემპიონატის კიდევ ერთი სენსაცია. აქამდე ქულადაუკარგავმა „ლოკომოტივმა“ სეზონისწინ ფაქტობრივად თავიდან ჩამოყალიბებულ „მგლებთან“ შინ დათმო და მავანიც მაშინვე აალაპარაკა, ემანდ „დინამოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ შემთხვევით ხომ არ მოიგოო.

დაძაბულ და საინტერესო მატჩზე კი ვფიქრობდით, მაგრამ მთლად ასეთი თვალსასეირო თამაში თუ გამოვიდოდა, არ გვეგონა. „მგლებმა“, რომელსაც „ლოკომოტივის“ საშინაო სარბიელზეც კი მასპინძლებზე მეტი ქომაგი ჰყავდა, თბილისელებს არაფერი დაუთმო, ერთი-ორჯერ ზედ მოედანზე არც „საქმის გარჩევას“ მოერიდნენ, თავი კბილებით დაიცვეს და უკან სასურველი შედეგით გაბრუნდნენ.

სტუმრებმა შეხვედრა ერთი ფორვარდით დაიწყეს, თუმცა ფლანგებიდან ისე მწვავედ უტევდნენ თბილისელებს, ცოტა დაკვირვებით რომ ეთამაშათ, გოლსაც მალევე გაიტანდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა მარჯვნიდან შემტევი გიორგი გულორდავა, ვინც ორ-სამჯერ რეტი დაასხა მცველებს, თუმცა ზუსტი ბოლო პასი აღარ გამოსდიოდა და მისი იქამდე გაკეთებულიც ქარს მიჰქონდა.

„ლოკომოტივს“ პრობლემები არც საპირისპირო ფლანგზე აკლდა, მაგრამ შეტევები ისეთი ეფექტური არ იყო. მიუხედავად ამისა, „ლოკომოტივმა“ შესვენებაზე სწორედ მარჯვენაფლანგელი მცველი შეცვალა.

საწყის ოც წუთშივე იგრძნობოდა, რომ მთლად კორექტული მატჩი არ იქნებოდა, უხეშობისთვის არბიტრმა სწორედ ფლანგელი მეტოქეები — გიორგი კახელიშვილი და გულორდავა გააფრთხილა, მოგვიანებით კი... აი, ამ საწყისი არეულობის შემდეგ კი „ლოკომოტივმა“ თამაში დაალაგა და სტუმართა დაცვა თუ არ დაუწიოკებია, ბევრიც არ დაუკლია. საგოლე მომენტების ათვლა კი რატი ალექსიძის ჩინებული პასით დაიწყო — მასპინძელთა ფორვარდმა კაპიტან ლევან ცქიტიშვილს დაახლოებით 40-მეტრიანი ისეთი პასი გაუკეთა, რომ იტყვიან, ბურთი ფეხზე დაასვაო. ცქიტიშვილიც ზურაბ მამალაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი მეკარეს ველარ ააცილა.

რამდენიმე წუთში უკვე ვიტალი დარასელიას ჩვეული დარტყმაც ვნახეთ: ფლანგზე ერთი მცველი რომ ჩამოიშორა, მერე მამალაძის კარის შორეული კუთხისკენ ჩააზვია ბურთი, თუმცა მიზნამდე სანტიმეტრები დააკლდა — ბურთი ძელს მოხვდა.

„მგლები“ ტაიმის ბოლოსკენ მამალაძემ ისევ გადაარჩინა, მან ირაკლი სამხარაძის ახლოდან და ძლიერად დარტყმული მოიგერია. საპასუხოდ კი „მგლები“ ვეტერანი ვალტერ გუჩუას მეტად სახიფათოდ დარტყმულს გამორჩა — ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

მეორე ტაიმი „ლოკომოტივმა“ ცოტა უფრო მხნედ კი დაიწყო, მაგრამ მეტოქის კარის სიახლოვეს არაფერი გამოსდიოდა.

მასპინძელთა მთავარი დამრტყმელი ძალა ალექსიძე გუშინ ისე ვერ ყოჩაღობდა, როგორც წინა მატჩებში და ეს მთლიანად გუნდის შეტევით პოტენციალზე აისახა.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივს“ „მგლების“ კართან მომენტი არ ჰქონია, საპირისპიროდ კი... ისე, მატჩის ბოლოს ვიტალი დარასელიას საჯარიმოდან დარტყმული და ერთ-ერთი მცველისგან ასხლეტილი ბურთი „მგლების“ კარის ხარიხას კი მოხვდა, მაგრამ...

ზუგდიდელები განსაკუთრებით კარგად მოედნის შუაში თამაშობდნენ, სადაც ყოველთვის ბოლომდე მებრძოლ გუჩუას არც ვლადიმერ ჯოჯუა ჩამორჩა და არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, სწორედ მათმა გამჭრიახმა თამაშმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. ერთადერთი გოლიც საჯარიმოდან გუჩუას ჩაწოდებულს მოჰყვა — გიორგი ლომაიას ცხვირწინ ბურთი მკერდზე თემურ ფარულავას მოხვდა და მეკარემ გუნდის გადარჩენა ველარ შეძლო.

გაგულისებულმა მასპინძლებმა წინ გაიწიეს, ორი შეცვლაც ერთდროულად გააკეთეს, მაგრამ რაც უფრო მეტი იყო მათი ემოციური შეტევები, მით მეტი ხიფათი იქმნებოდა ლომაიას კართან. სტუმრებმა კონტრშეტევებზე რამდენჯერმე გამოიჭირეს თბილისელები, თუმცა გამოუცდელობამაც თავისი ქნა და გოლის გატანა ველარ მოახერხეს. მომენტები კი, იცოცხლეთ, „მგლებს“ ისეთი ჰქონდა, ვერგატანა უფრო რთული იყო, თანაც გამოცდილი ლომაიაც ყოჩაღობდა.

მერე ზოგ ფეხბურთელს ნერვებმაც უმტყუნა, იყო ზღვარგადასული უხეშობა და გაწევ-გამოწევა, ყოველივე ამის გამო არბიტრმა ძირითად დროს ხუთი წუთიც კი დაამატა, მაგრამ „ლოკომოტივი“ გოლის გამტანი აღარ ჩანდა.. „მგლებმაც“ თავი ბოლომდე გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ზესტაფონი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| გაგრა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბორჯომი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 6 |
| სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| მესხეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ოლიმპი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

# უყურეთ თამაშს და განსაჯეთ მსაჯი!

რუსთავი. 5 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი. 1 500 მაყურებელი

## ოლიმპი 0:0 ვიტ ჯორჯია

ოლიმპი: მერლანი, გ. სეთურიძე, გ. ონიანი, აკუასაგა, თ. ლონლაძე (ა. გილაური 56), დობროვოლსკი, გაბიდაური (ფიფია 66), ფეიქრიშვილი, დეკანოსიძე, მიკუჩაძე (მეგრელაძე 52), გაგა ჩხეტიანი
სათადარიგონი: სტურუა; ჩიკვილაძე, ბაბუნაშვილი
მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ხურცილავა (ლუჭაშვილი 58), ა. კვახაძე (ყველაშვილი 56), დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, ბეჭვაია, კლიმიაშვილი, ლიპარტია (ბერიაშვილი 72)
სათადარიგონი: მიქაბერიძე; კვალინიძე, მაისაშვილი, ვ. კვარაცხელია
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: დათუნაიშვილი (22), დობროვოლსკი (29)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ფიფია, ლ. მიქელაძე, ო. ხეცაძე

**ილია ნანობაშვილი** რუსთავიდან

**„არ** მახსოვს, მსაჯს როდესმე ჩვენ მიმართ სიმპათია ჰქონოდეს. სულ ერთია, მასპინძლები ვართ თუ სტუმრები, მაინც არავინ გვწყალობს. ხომ შეიძლება, მასპინძლები ვართ და 1-2 პროცენტით მაინც ჩვენკენ იმსაჯონ?!“ — აი, ასეთი დასამახსოვრებელი სიტყვები მოვისმინეთ ნამატჩევს, რომლის ავტორი „ოლიმპის“ თავკაცის თანაშემწე მალხაზ ლაცაბიძე გახლდათ.

როგორც კი პრესკონფერენცია დაიწყო, ლაცაბიძემ ვიტელთა თავკაც ნესტორ მუმლაძეს გადაუკრა სიტყვა, თქვენ ყოველთვის მასპინძლები ხართო.

მუმლაძემ ეს სიტყვები, ასე ვთქვათ, „გაატარა“, თუმც ის კი ჩაილაპარაკა, რა გიკვირთ ეს ფრე, თქვენზე უკეთესი გუნდი გვყავსო.

სტუმართა მწვრთნელმა აღნიშნა, მსაჯების შეცდომები ორივე მხარეს იყო, თუმც შედეგზე არ უმოქმედია და ფრე ლოგიკურიაო.

აი, ლაცაბიძემ კი თავისი თქვა: „ვერ დავეთანხმები ჩემს კოლეგას, ფრე არ იყო ლოგიკური“.

ცხადია, ბატონ მალხაზს ვთხოვეთ, რომელიმე ეპიზოდი აღენიშნა, სადაც მსაჯმა „ოლიმპი“ დაჩაგრა — რა გითხრათ, დაახლოებით ათი ასეთი მომენტი იყო, მაგალითად, ფეიქრიშვილი წააქციეს და ჯარიმა არ დაინიშნაო.

დიახ, ასეთი მომენტი მართლაც იყო, ოღონდ, მაქსიმუმი, რაც იქ შეიძლებოდა მსაჯს „ოლიმპის“ სასარგებლოდ გაეკეთებინა, ჯარიმა დაენიშნა კარიდან 20-25 მეტრში.

საერთოდაც, ნეტავ, ნეიტრალური გულშემატკივარი ან სპეციალისტი გვანახა, რომელიც გუშინდელ თამაშზე იტყოდა, „ოლიმპს“ ასპროცენტიანი მოსაგები ჰქონდაო. ალარაფერს ვამბობთ მსაჯისგან დაჩაგვრაზე. პირიქით, ფრე ზედგამოჭრილი, ლოგიკური ანგარიშია.

ისე, უფრო ხარისხიან ფეხბურთს ველოდით, კი, ბრძოლა და დაძაბულობა არ განელებულა, მაგრამ მატჩი საგოლე, ან თუნდაც დასამახსოვრებელი მომენტებით მდიდარი ნამდვილად არ ყოფილა.

თავიდან „ოლიმპმა“ უკეთ დაიწყო, 20-25 წუთი უპირატესობას ფლობდა და პირველი ხიფათიც შექმნა, როცა გიორგი დეკანოსიძის პასით გრიგოლ ბედიაშვილთან შეყრილმა გაგა ჩხეტიანმა კარს ზემოთ დაარტყა. იმავ ჩხეტიანმა ერთხელ თავურიც ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან და ეს იყო, პირველ ტაიმში მეტი არაფერი ჩავვინიშნავს. სადღაც ტაიმის შუიდან თამაში გათანაბრდა და მეტიც, ცოტა უფრო მწვავედ ვიტელები იყვნენ.

მეორე ნახევარში დიდი დრო არ იყო გასული, გუნდებს ორ-ორი შეცვლა ჰქონდათ გაკეთებული, თუმც ოლიმპელ გია მეგრელაძეზე თუ იტყვი, თამაში გამოაცოცხლაო.

რუსთაველთა სამეორეტაიმო ჩხვლეტაში სწორედ მეგრელაძე მონაწილეობდა: ჯერ აქვსენტი გილაურის ჩაწოდებულს ეფექტურად დაჰკრა თავური და ააცილა, მერე კი საჯარიმოს გარედან ძელს მოარტყა.

მანამდე „ვიტ ჯორჯიას“ ჰქონდა ორი სუპერმომენტი — გიორგი დათუნაიშვილმა ახლოდან თავური უზუსტოდ დაარტყა, ხოლო ჯაბა ლიპარტიას ერნესტ აკუასაგამ არ გაატანინა. ეს ასე მოხდა: გიორგი მელქაძის შორიდან გასროლილი იუბილარმა მირზა მერლანმა (28 წლის გახდა) უხერხულად მოიგერია, იქვე ჩასაფრებულმა ლიპარტიამ კი ნელა დაარტყა ბურთი კარისკენ და ოლიმპიელთა გაბონელმა მცველმა ხაზიდან გამოიტანა...

და ერთიც: მატჩს ექტორ რაულ კუპერმაც უყურა ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელ ანხელ პუებლასთან ერთად...



ვიტჯორჯიელი ჯაბა ლიპარტიას დარტყმული ბურთი კარში ერნესტ აკუასაგამ არ შეუშვა

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | I წრე. 5 ტური

# სპარტაკმა შეუტია და წააგო

გორი. 5 ოქტომბერი. 15 საათი. ქართლი. 60 მაყურებელი

## სპარტაკი 1:2 ბორჯომი

0:1 ნოზაძე (39), 1:1 ქარქუზაშვილი (71ს.კ.), 1:2 ბეჟანიძე (84)

| სპარტაკი | ბორჯომი |
|---|---|
| სპარტაკი: ქვილითაია, გ. ნადირაშვილი, ბ. ხაჭაპურაძე, ი. კობახიძე (მ. ლონლაძე 44), ნ. გოგოხია, ჯანგიძე, კ. შალამბერიძე (სირბილაძე 60), თარხნიშვილი, თექთუმანიძე, გ. ხიდეშელი (ნ. მაისურაძე 55), ოსეფაშვილი<br>სათადარიგონი: ბასილაძე, ვ. ქორიძე, ლ. დათუნაშვილი, ბახტურიძე | ბორჯომი: შეყრილაძე, ვ. ვაჩიბერიძე, ქარქუზაშვილი, ზ. ლაცაბიძე, ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (გოგიჩაიშვილი 69), ნ. ნოზაძე, ქავთარაძე, ალავერდაშვილი (კ. ავალიანი 40), ბეჟანიძე (ბაქრაძე 88), ი. კიკნაძე<br>სათადარიგონი: კ. ჯინჭარაძე, ი. ლომიძე, ნ. ლომიძე |
| მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | მწვრთნელი: გიორგი სუხიაშვილი |

გაფრთხილება: თარხნიშვილი (22), ვ. ხორგუაშვილი (30), ალავერდაშვილი (65), შეყრილაძე (67)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ბ. ჭიჭინაძე, ზვ. გურგენიძე, ლ. ფანიაშვილი

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**თამაში** ორმხრივი შეტევებით დაიწყო და პირველივე წუთზე „სპარაკმა“ მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, რომელსაც პავლე ხორგუაშვილი დაეუფლა, კარგად გადააწოდა ირაკლი კიკნაძეს, რომელმაც მოჭრილი დარტყმით ბურთი შორეულ მაღალ კუთხეს ააცილა. საპასუხოდ ლაშა ჯანგიძემ სახიფათოდ დაარტყა ჯარიმა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მე-12 წუთზე ფლანგიდან კობა შალამბერიძე კარგად და სახიფათოდ შეიჭრა „ბორჯომის“ საჯარიმოში, მაგრამ არც ამ შეტევას მოჰყვა შედეგი.

მე-15 წუთიდან „სპარტაკი“ დაეუფლა უპირატესობას, თუმცა ბევრი ვერაფერი იხეირა, რადგან სტუმართა დაცვა ყველა შეტევას იგერიებდა.

ანგარიში კი სტუმრებმა გახსნეს: 39-ე წუთზე დაახლოებით 25-27 მეტრიდან ბორჯომელებმა საჯარიმოგაითამაშეს და ნოდარ ნოზაძემ უძლიერესად და ზუსტად დაარტყა მარჯვენა მაღალ კუთხეში — 0:1.

მეორე ნახევარი „სპარტაკის“ აქტიურობით დაიწყო, 56-ე წუთზე ბესო ოსეფაშვილს ბექა შეყრილაძემ დაასწრო. ორიოდე წუთში „ბორჯომმაც“ შეუტია და ქავთარაძის შორეული დარტყმა ქვილითაიამ გაჭირვებით მოიგერია.

71-ე წუთზე მასპინძელთა შეტევებმა ნაყოფი გამოიღო — ჯანგიძემ ძლიერად დაარტყა ჯარიმა, ბურთი თავში მოხვდა გივი ქარქუზაშვილს, შეიცვალა მიმართულება და 1:1.

ამ გოლმა მასპინძლები უფრო გაააქტიურა და მორიგი შეტევისას ირაკლი სირბილაძეს შეეძლო გატანა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

75-ე წუთზე ჯანგიძემ კვლავ სახიფათოდ დაარტყა საჯარიმო, მაგრამ ამჯერად შეყრილაძემ იმარჯვა. მატჩის ბოლოსკენ კი შეტევაში გართულ მასპინძლებს სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარათ და... კონსტანტინე ავალიანმა საჯარიმოში ჩააწოდა, კიკნაძემ ბურთი ბეჟანიძეს გადააწოდა, მანაც მცველი მოატყუა და 1:2.

ბოლო წუთზე მასპინძლებს შეეძლოთ თამაშის გადარჩენა, როცა მაისურაძეს შეყრილაძე ფეხებში ჩაუხტა და ხიფათი განმუხტა.

# ბილეთები 8 ოქტომბრიდან

**11 და 15 ოქტომბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორ შეხვედრას ჩაატარებს თბილისში. თავდაპირველად კვიპროსის ნაკრებს უმასპინძლებს, შემდეგ — ბულგარეთს.

ამ მატჩებზე დასასწრები ბილეთები 8 ოქტომბრიდან ეროვნული სტადიონის ათ სალაროში გაიყიდება. გულშემატკივრებს ბილეთების შეძენა ყოველ დღე 20 საათამდე შეეძლებათ.

I სალაროში დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-8 და მე-10 სექტორების ბილეთები გაიყიდება (ფასი 20 ლარი). ასევე, დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-5 სექტორის ბილეთები (ფასი 10 ლარი).

II სალაროში დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-6 და მე-12 სექტორების ბილეთები (ფასი 10 ლარი) და სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-2 სექტორის ბილეთები გაიყიდება (ფასი 5 ლარი.

III სალაროში სამხრეთ ტრიბუნის პირველი იარუსის 1, მე-2, მე-3, მე-17 და მე-18 სექტორების ბილეთები გაიყიდება (ფასი 5 ლარი).

IV სალაროში სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-3, 28-ე და 30-ე სექტორების ბილეთები გაიყიდება (ფასი 5 ლარი).

V სალაროში სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 1, მე-4 და 29-ე სექტორების ბილეთები გაიყიდება. ასევე, ჩრდილოეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-11 სექტორის ბილეთები. ყველა ბილეთის ფასი 5 ლარი.

VI სალაროში აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-15 სექტორის და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 23-ე და 24-ე სექტორების ბილეთები გაიყიდება (ფასი 10 ლარი).

VII სალაროში აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-14 სექტორის ბილეთები გაიყიდება (ფასი 10 ლარი). ასევე, აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 21-ე და 22-ე სექტორების ბილეთები (ფასი 7 ლარი).

VIII სალაროში აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-16 სექტორის და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-20 და 27-ე სექტორების ბილეთები გაიყიდება (ფასი 7 ლარი).

IX სალაროში აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-13 სექტორის და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 26-ე სექტორის ბილეთები გაიყიდება (ფასი 7 ლარი). ასევე, ჩრდილოეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-19 სექტორის ბილეთები (ფასი 5 ლარი).

X სალაროში ჩრდილოეთ ტრიბუნის I იარუსის მე-12 სექტორის და ჩრდილოეთ ტრიბუნის II იარუსის მე-14 და მე-16 სექტორების ბილეთები გაიყიდება (ფასი 5 ლარი).

*სფფ-ის პრესსამსახური*

# ქართველები უცხოეთში

## იყო გოლებიც, იყო ტრავმებიც

**როგორი** გამოდგა ქართველი ლეგიონერების ევროტური სანაკრებო მატჩების წინ?

აღსანიშნავი ის მოხდა, რომ ბევრმა ჩვენიანმა იუქმა — მათ შორის, იმათაც, რომლებსაც თავიანთ გუნდებში სათამაშო პრაქტიკის პრობლემა არ ჰქონიათ. თუმცა სასიამოვნო ამბებიც იყო...

პირველ რიგში, მილანელ კახა კალაძეზე ვთქვათ, რომელსაც ტრავმა აქვს და „კალიარისთან“ ვერთამაშა არ ჭრივით, კვიპროს-ბულგარეთთან მატჩებსაც გამოტოვებს.

კვლავ განაცხადს მიღმა დარჩა „ბლექბერნის“ ზურაბ ხიზანიშვილი, ვისაც მწვრთნელი პოლ ინსი არა და არ ენდობა, რასაც, სავარაუდოდ, ჩვენიანის „ვესტ ჰემში“ გადასვლა მოჰყვება.

ინსმა თავის მასწავლებელს, სერ ალექს ფერგიუსონს სიმწარე ვერ აგემა, რაკიღა „ვარდებმა“ შინ 0:2 დათმეს „მანჩესტერთან“.

გერმანულ ბუნდესლიგაში ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ იყოჩაღა, სტუმრად 2:1 აჯობა „არმინიას“ და ქართველი შემტევიც შეუცვლელად იყო მინდორზე, თუმც ამჯერად გოლისა თუ საგოლე პასის გარეშე.

„კარლსრუეს“ სამი მოგება და სამი წაგება აქვს და ცხრილის შუაშია.

„შალკემ“ შინ „ვოლფსბურგს“ ვერ მოუგო (2:2), ლევან კობიაშვილმა მარცხენა მცველად სრულად ითამაშა, ლევან ყენია კი პირველად მოხვდა „ხუმარათა“ საბუნდესლიგო თამაშის განაცხადში, თუმც მინდორზე არ შესულა.

მეორე ბუნდესლიგაში ოთარ ხიზანეიშვილსა („აუგსბურგი“) და დავით თარგამაძეს („ფრაიბურგი“) არ უთამაშიათ, მათე ღვინიანიძე კი 90 წუთი გაისარჯა „მიუნხენ 1860“-ისთვის, რომელმაც სტუმრად „ფრანკფურტი“ 3:0 გაანადგურა.

ჩეხეთში მიჯრით ოთხი ტური ისე ჩათავდა, დიმიტრი ტატანაშვილს „პლზენის“ ძირითადში არ აყენებდნენ, თუმც ამჯერად პირველივე წუთიდან ანდეს ადგილი. „პლზენმა“ გასვლაზე 0:2 დათმო „ზლინთან“ და ქართველიც ბევრი არაფრით გამორჩეულა — 64-ე წუთზე შეცვალეს.

„ტატანას“ გუნდი გასავარდნ ზონაში არა, მაგრამ ცხრილის ქვედა ნაწილში კია.

„ბოლესლავმა“ შინ 3:1 სძლია „პრჟიბრამს“, თუმც გიორგი განუგრავა განაცხადშიც არ გახლდათ.

სლოვაკეთში ირაკლი ლილუაშვილმა გაიტანა. ჩვენიანმა „ნიტრა“ მე-13 წუთზე დააწინაურა და მისიანებმა 2:1 აჯობეს „დუბნიცას“.

აღსანიშნავია, რომ ამპლუით თავდამსხმელი ლილუაშვილი ამ მატჩში მარჯვენა ნახევარმცველად ათამაშეს.

„ნიტრა“ შარშანდელივით მაინც ვერ ყოჩაღობს და ცხრილის შუაშია გაჭედილი.

რუსეთში სენსაციას უახლოვდება ყაზანის „რუბინი“, რომელმაც წინა ტურში წაგებას ნაცნობი გამარჯვება შეუნაცვლა.

სათათრეთის კლუბმა 3:0 მოუგო უმოტივაციო ნალჩიკის „სპარტაკს“. მოგებულთაგან დავით კვირკველიამ 68 წუთი ითამაშა — კოჭში ჩაარტყეს და შესაცვლელი გახდა.

ლაშა სალუქვაძეს მაღალი სიცხე ჰქონდა და მინდორზე ვერ გავიდა. რაც შეეხება ნალჩიკელთა ქართველობას: გოგიტა გოგუა ტრავმირებულია, ალეკო ამისულაშვილი და დავით სირაძე კი ძირითადში იყვნენ და მეორე ტაიმში შეცვალეს (ალეკო 55-ე, სირაძე კი 73-ე წუთზე). ამისულაშვილმა გაფრთხილება მიიღო, ერთ მომენტში კი მისი თავურის შემდეგ რუბინელმა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სტუმრად „ტომს“ 1:0 სძლია და დავით მუჯირმა ბოლო 4 წუთი ითამაშა.

ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგია“ უეფას თასის საეჭვო მფლობელ „ზენიტთან“ 1:8 შერცხვა. გვაზავამ სრულად ითამაშა.

მახაჩყალის „ანჟი“ კი, ფაქტობრივად, გამოეთხოვა პრემიერლიგაზე ოცნებას. ომარ თეთრაძის გუნდი შინ „კუზბასს“ 0:0-ზე გაეყარა. ქართველთაგან ვალერი აბრამიძემ, გოჩა ხოჯავამ და გიორგი ნავალოვსკიმ შეუცვლელად ითამაშეს, ზურაბ არზიანი და რევაზ ჯიქია ბოლოსკენ შეცვალეს, მიხეილ აშვეთიაზე კი თეთრაძემ თქვა, ავად არის და თამაშის საყურებლადაც ვერ მოვიდაო.

უკრაინაში მალხაზ ასათიანმა „ხარკოვისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრაში ბოლო 18 წუთი გაატარა მინდორზე. ქართველის შესვლისას კიეველები 3:0 იგებდნენ და ერთი გოლი კიდევ მიამატეს.

ლადო ბურდულს სიმფეროპოლის „ტავრიაში“ დებიუტი ჰქონდა — თანაც თავის ყოფილ კლუბ „ზარიასთან“. ბურდული 62-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, კიდევ ერთი ტავრიელი ქართველი ვასილ გიგიაძე კი ბოლო 13 წუთი გაისარჯა. აი, „ზარიას“ გიორგი ციმკურიძე კი მეორე ტაიმის მეორე წუთზე შევიდა მოედანზე.

კახა მჟავანაძემ სრულად ითამაშა დონეცკის „შახტიორთან“ — „ჩერნომორეცმა“ 0:3 წააგო ჩემპიონთა ლიგის მონაწილესთან.

და სანდრო გურული, რომელმაც წინა მატჩის დარად შეუცვლელად ითამაშა „კარპატიში“ და კვლავ ყველაზე აქტიური იყო მინდორზე. ლვოველები შინ „ვორსკლას“ 0:0-ზე გაეყარნენ.

მოლდოვაში „დაჩიამ“ სტუმრად „ბენდერს“ 3:1 სძლია და ლევან კორღალიძემ დუბლი მიითვალა.

დანიის პირველ ლიგაში შვიდი მატჩიდან შვიდი მოგების შემდეგ დამუხრუჭდა გიორგი ფოფხაძის „ვიბორგი“. ქართველმა სრულად ითამაშა „ჰვიდოვრესთან“ — 1:1.

ერთი ქართული გოლი აზერბაიჯანშიც გავიდა: „ბაკიმ“ თანაქალაქელ „ოლიმპიკს“ 3:1 რომ აჯობა, ამირან მუჯირმა პენალტი შეაგდო.

ბელარუსში გივი კვარაცხელიამ სოლიგორსკის „შახტიორს“ ანგარიში გაუთანაბრა, თუმც მისმა „მტზ-რიპომ“ ბოლოს გაუშვა და 1:2 დათმო.

ლატვიაში ჩვენთვის აღსანიშნავი მხოლოდ ის მოხდა, რომ პაატა დათუნაიშვილი გააძევეს. „დინაბურგელმა ქართველმა „რიგასთან“ (2:3) მატჩში პირველივე წუთზე მიიღო პირველი ყვითელი, ბოლოს კი მეორესაც გამოჰკრა ხელი.

**ილია ნანობაშვილი**



## მორიგი დანაკლისი: კვირკველია

**ამ** ბოლო დროს საქართველოს ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა იშვიათობად იქცა და არც ამჯერად „დაგვივიწყა“ უიღბლობამ — კვიპროსთან და ბულგარეთთან კახა კალაძე რომ არ იქნება, ეს არ გვეყოფოდა და, ახლა დავით კვირკველიაც დაგვაკლდება.

ყაზანის „რუბინის“ მარცხენაფლანგელს გუშინწინ ნალჩიკის „სპარტაკთან“ მატჩის 67-ე წუთზე კოჭში მაგრად ჩაარტყეს და შესაცვლელი გახდა. დავითს კარგა ხანს მოედნის კიდესთან დასტრიალებდნენ ექიმები.

სავარაუდოდ, ექტორ რაულ კუპერი კვირკველიას სხვა ფეხბურთელით ჩაანაცვლებს, რადგან, ფაქტობრივად, ნაკრების დაცვა დაცარიელდა — კალაძე-კვირკველიას ტრავმებს მალხაზ ასათიანის გამოუძახებლობაც დავამატოთ და...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა ხაბარელის შვიდეულმა მსოფლიო ტოკიოში დაიპყრო

## საქართველო ჩემპიონი ჩემპიონატის სამშობლოში გახდა

**ქართველებმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჭიდაობა ჩვენთვის არის მოგონილი. სხვა რა შეიძლება ითქვას იმ ფაქტზე, რაც ძიუდოს სამშობლოში, იაპონიაში საქართველოს ნაკრებმა გააკეთა.

იაპონიაში ჩატარებულ ძიუდოისტთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა!



მართლაც ძალიან ფასეულია, როდესაც ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენელი ჩემპიონი ხდება, მაგრამ ალბათ ათმაგად დასაფასებელია ის ფაქტი, რომ ჩემპიონი ხდები ამ სპორტის სამშობლოში. მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ძიუდოსა და იაპონიაზე.

ეს გამარჯვება იყო კიდევ ერთი ტრიუმფი ქართული ძიუდოსთვის და მის მთავარ შემოქმედად ისევ და ისევ შოთა ხაბარელი მოგვევლინა. ბოლო პერიოდის ქართული ძიუდოს წარმატებები ძირითადად სწორედ ამ ადამიანის სახელთანაა დაკავშირებული.

იაპონიაში წასული ქართველი ძიუდოისტებიდან მთავარმა მწვრთნელმა სამივე შეხვედრაში ერთი და იგივე შემადგენლობა აჭიდავა: 60 კგ — ნესტორ ხერგიანი, 66 კგ — მინდია ხომიზური, 73 კგ — ზაზა კედელაშვილი, 81 კგ — დავით ქევხიშვილი, 90 კგ — ვარლამ ლიპარტელიანი, 100 კგ — ირაკლი ცირეკიძე, მძიმე წონაში კი ლაშა გუჯეჯიანი.

საქართველოს ნაკრებს ტოკიოს გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი შეხვედრის ჩატარება მოუწია — სამხრეთ კორეასთან, ნახევარფინალი ბრაზილიასთან და ფინალი — უზბეკეთთან. ჩვენი გუნდიდან ყველა დაპირისპირება მოიგეს ნესტორ ხერგიანმა და ვალერი ლიპარტელიანმა, თუმცა მთლიანობაში მაინც ძალიან რთულია, ნაკრებიდან რომელიმე წევრის გამოყოფა. ეს ჩემპიონატი სწორედ გუნდმა მოიგო და არა რომელიმე ერთმა ფალავანმა.

პირველი შეხვედრა ჩვენებისთვის კორეასთან დაპირისპირება იყო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კენჭისყრაში აშკარად არ გაგვიმართლა. ჩვენს მხარეს მოხვდნენ ბრაზილია, კორეა და იაპონია, მეორე მხარეს კი — უზბეკეთი, ახალი ზელანდია, ალჟირი და რუსეთი.

დავუბრუნდეთ კორეასთან გამართულ შეხვედრას. ეს დაპირისპირება 6:1 მოიგეს ქართველებმა. მოიგო ყველამ, მხოლოდ დავით ქევხიშვილი დამარცხდა.

კორეელების შემდეგ ბრაზილიელების ჯერი დადგა. მათ ტურნირის მთავარი სენსაცია მოახდინეს, მოუგეს მასპინძელ იაპონიას. თუმცა ქართველებთან ვერაფერს გახდნენ და უიმედოდ 5:1 წააგეს.

ამ ბრძოლაში დავით ქევხიშვილმა შეასრულა უდიდესი როლი. მან დაიწყო შეხვედრა და მოუგო ბრაზილიელთა მთავარ ფავორიტ ფლავიო კანტოს. ბრაზილიელები ლიდერის წაგებამ გატეხა. თუმც მათ მაინც შეძლეს ზაზა კედელაშვილთან შეხვედრის ფრედ დამთავრება, ხომიზურს კი საერთოდაც მოუგეს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საქართველო ფინალში გავიდა.

საჩემპიონო დაპირისპირებაში უზბეკებმა დიდი ბრძოლა გაგვიმართეს. ფინალი კი 4:2 მოვიგეთ. თუმც ყველაფერი გაცილებით რთულად იყო, ვიდრე ანგარიშიდან ჩანს.

შვიდშეხვედრიანი შერკინება ლიპარტელიანმა დაიწყო მოგებით — 1:0. მას ვერ მიჰყვა ცირეკიძე, რომელმაც ფრედ დაასრულა ბრძოლა და ანგარიში უცვლელი დარჩა. ლაშა გუჯეჯიანის წაგების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა — 1:1. თუმც შემდეგ ხერგიანის გამარჯვებით ისევ დავწინაურდით — 2:1. ანგარიში მინდია ხომიზურის მარცხით გათანაბრდა — 2:2. ზაზა კედელაშვილმა დაამტკცა, რომ ძლიერი მოჭიდავეა. მან თავისი შეხვედრა მოიგო და საქართველო ისევ წინ გაიყვანა — 3:2.

დარჩა ბოლო გადამწყვეტი შეხვედრა, რომელშიც 81 კილოში დავით ქევხიშვილს უნდა ეჭიდავა, მისი წაგების შემთხვევაში, ჩემპიონი უზბეკეთი ხდებოდა, მაგრამ დათომ თავისი ძლიერი ხასიათი გამოავლინა და ჯერ იუკოზე დააგდო მეტოქე, შემდეგ კი მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი გახდა.

გუშინ იაპონიაში საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივან ზურა უსუფაშვილს დავუკავშირდით სასტუმროში და სწორედ მისგან შევიტყვეთ ასე დეტალურად ნაკრების იაპონური გამოსვლის შესახებ. ბოლოს კი მცირე ინტერვიუც ჩამოვართვით.

— ყველა უზომოდ გახარებული ვართ ამ გამარჯვებით. ქართველებმა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ძიუდოს ძალიან კარგად ვჭიდაობთ. მთელ საქართველოს ვულოცავ ამ წარმატებას.

— ელოდით, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა?

— იაპონიაში თავიდანვე დიდი იმედებით გავემგზავრეთ. წარმატების იმედი რომ არ გვქონოდა, ტოკიოში საერთოდ არ წავიდოდით. მაგალითად, შარშან ანალოგიურ ჩემპიონატში მონაწილეობას არ დავთანხმდით, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ძიუდოისტები გადაღლილები იყვნენ.

— შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრაშიც არ გაგიმართლათ, თუმც ამან ვერანაირად ვერ შეგიშალათ ხელი...

— მართლაც ასე იყო, ცოტა უსამართლო კენჭისყრა გამოვიდა, რადგან ერთ მხარეს ჩვენ, იაპონია, კორეა და ბრაზილია მოვხვდით, ანუ ამ ოთხი უძლიერესი ნაკრებიდან მხოლოდ ერთი გავიდოდა ფინალში. ამ დროს, მეორე მხარეს გაცილებით სუსტი გუნდები შეიკრიბა — უზბეკეთი, ალჟირი, რუსეთი და ახალი ზელანდია. საბედნიეროდ, საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე ამან გავლენა ვერ მოახდინა და ღირსეულად გავჩემპიონდით.

**— ყველაზე მეტად ვის გამოარჩევდით საქართველოს ნაკრებიდან?**

— ეს იყო მთლიანად ნაკრების გამარჯვება, დაწყებული სპორტსმენებით, დამთავრებული მწვრთნელებით. გუნდი საოცრად შეკრული იყო. რაც მთავარია, ყველა საოცრად მოტივირებული იყო და საომრად შემართული. ამან შედეგი გამოიღო.

**გიორგი არაბული**



დავით ქევხიშვილის ამ ილეთმა საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა



# ყოჩებმა ლოკომოტივი შლაგბაუმით გააჩერეს

**საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა**

**აკადემია 7:35 ლელო**
**ყოჩები-ლუკოილი 23:18 ლოკომოტივი**
**დინამო 12:41 უნივერსიტეტი**
**აია 28:12 არმაზი**

**19-წლამდელთა** ევროპის ჩემპიონატის გამო ორი კვირით შეწყვეტილი საქართველოს ჩემპიონატი შაბათს განახლდა და თანაც რა ჯახით. „ყოჩებმა" სატურნირო ცხრილის თავში მშვიდად წამოსკუპებულ „ლოკომოტივს" ხასიათი წაუხდინა და გვარიანად დაძაბულ ბრძოლაში 23:18 მოუგო.

როგორც ჩანს, „ყოჩები" ნელ-ნელა საკუთა თამაშს პოულობს. „ყოჩებმა" ჯერ „ლელო" დაამარცხა წინა ტურში, მერე კი 19-წლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე თამაშის გამო, ჩემპიონატში შესვენება რომ იყო, შვიდკაცა რაგბის გათამაშებაში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ახლა კი „ლოკომოტივის" ჯერიც დადგა და...

თამაში რკინიგზელებისთვის სასურველად დაიწყო. „უნივერსიტეტიდან" სეზონის წინ „ლოკომოტივში" გადასულმა ალექსანდრე ტუჩაშვილმა მარჯვენა ფრთაზე გაილაღა, გზად ერთი მეტოქე შეჯახების მერე ჩამოიცილა და „ყოჩების" ჩათვლის მოედანზე შეიჭრა, რასაც ბობა კვინიხაძის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა და 7:0.

ტუჩაშვილის ლამაზ ლელოს „ყოჩების" მე-14 ნომერმა არჩილ გეგენავამ არანაკლებ ლამაზი სოლორეიდით უპასუხა — ექვს რკინიგზელში ჩაიდრიბლინგა და ბურთი დაამიწა. ტაიმის დამთავრებამდე, ბობა კვინიხაძემ ერთი ჯარიმა გამოიყენა და შესვენებაზე გუნდები 10:5-ზე გავიდნენ „ლოკოს" სასარგებლოდ. არადა, ლაშა მალალურაძემ რამდენიმე გასატანი საჯარიმო გააცუდა, თორემ ანგარიში განსხვავებული იქნებოდა.

მეორე ტაიმი „ყოჩებმა" ყოჩაღად კი დაიწყეს, მაგრამ ლელო მაინც თვითონ მიიღეს. ლექსო გუგავამ საკუთარი 22-დან ირბინა მათ ლელომდე — 15:5. მაგრამ მოწინააღმდეგეებს ყურები არ ჩამოუყრიათ, პირიქით, ტემპს უმატეს და 10 წუთში ორი ლელოც გამოაცხვეს.

ორივე ლელოს ერთნაირი დასაწყისი ჰქონდა „ლოკომოტივს" ჩათვლის მოედნიდან 5 მეტრში აუტი ინიშნებოდა, რასაც მოლი მოსდევდა და... ამას ისიც დაემატა, რომ „ლოკომოტივმა" შეცდომები დაუშვა და ლაშა მალალურაძემ ერთი საჯარიმოც შეირგო — 23:15.

ამას „ლოკომოტივის" მოძალება და კვინიხიძის ზუსტი ჯარიმა მოჰყვა — 23:18. დარჩენილ ოთხ წუთში „ლოკო" „ყოჩების" ჩათვლის მოედანს მთელი ძალით მიაწვა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა და მიმდინარე ჩემპიონატში მესამედ წააგო.

გათამაშების კიდევ ერთმა ლიდერმა „ლელომ" „აკადემიას" სტუმრად იოლად მოუგო.

არც „უნივერსიტეტს" გასჭირვებია „დინამოს" დაჩაგვრა. იგივე შეიძლება ითქვას „აიაზე", რომელმაც „არმაზი" შინ დაამარცხა.

**ნიკა ძოპაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 8 | 0 | 2 | 357:137 | 16 |
| ლელო | 7 | 0 | 3 | 218:190 | 14 |
| უნივერსიტეტი | 6 | 1 | 3 | 211:178 | 13 |
| ყოჩები-ლუკოილი | 6 | 0 | 4 | 193:172 | 12 |
| აკადემია | 5 | 0 | 5 | 180:196 | 10 |
| აია | 4 | 1 | 5 | 165:190 | 9 |
| დინამო | 2 | 0 | 8 | 167:338 | 4 |
| არმაზი | 1 | 0 | 9 | 155:245 | 2 |



ლოკომოტივი-ყოჩები ყოველთვის მაგარი ჯახია

საქართველო კალათბურთის ფედერაცია
აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების
კურსებზე. მსურველებს გთხოვთ
დაგვიკავშირდეთ მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54









ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკა ცქიტიშვილის ასავალ-დასავალი
## იტალია თუ აზერ-ქართული ნტდ?

*გუშინ, როდესაც ქართველი ლეგიონერი კალათბურთელების კლუბების ოფიციალურ ვებგვერდებზე გუნდების განაცხადებს ვათვალიერებდით, ერთ საინტერესო ფაქტს მივაქციეთ ყურადღება.*

*იტალიური „ტერამოს" განაცხადში ვერ წავაწყდით საქართველოს ნაკრების კალათბურთელ ნიკოლოზ ცქიტიშვილის სახელსა და გვარს.*

*დავინტერესდით ამ ფაქტით და აღმოვაჩინეთ, რომ მაშინ, როდესაც ნიკა იტალიაში გვეგონა, ის თურმე თბილისში ყოფილა და აქ ვარჯიშობდა ახლად შექმნილ აზერბაიჯანულ-ქართულ კლუბ ნტდ-სთან ერთად.*

*გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით თვითონ კალათბურთელს, მაგრამ ჩვენთვის ცნობილ ვერც ერთ ნომერზე ვერ დავრეკეთ, ყველა გამორთული იყო.*

*შემდეგ გადავურეკეთ ნიკა ცქიტიშვილის სიძეს და საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანს ვახტანგ ნაცვლიშვილს, თუმც კონკრეტული ინფორმაცია ვერც მისგან მივიღეთ, სად გააგრძელებს ნიკა კარიერას და მართლა ვარჯიშობს თუ არა ის ნტდ-ს შემადგენლობაში.*

*ამ ბოლო შეკითხვაზე პასუხის მისაღებად, ნტდ-ს მთავარ მწვრთნელს,* **ნუგზარ კანდელაკს** *დავუკავშირდით*

— დიახ, ნიკა ცქიტიშვილმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა ჩვენთან ერთად, რადგან ის ცდილობს, სათამაშო ფორმა შეინარჩუნოს.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ნიკა ცქიტიშვილი ახალ სეზონს ნტდ-ში გაატარებს?

— ორივე მხარეს დიდი სურვილი გვქონდა, რომ მას დუდუ დადიანის მემორიალზე ნტდ-ს შემადგენლობაში ეთამაშა, მაგრამ ალბათ არ გამოვა ეს საქმე.

— რატომ არ გამოვა, თუ ეს ორივე მხარეს სურს, რაღა უშლის ხელს?

— ის უშლის ხელს, რომ ცქიტიშვილს კონტრაქტი აკავშირებს იტალიურ „ტერამოსთან". ასეთ სიტუაციაში კი სხვა გუნდში თამაში შეუძლებელია.

— კი მაგრამ, თუ მას კონტრაქტი აქვს „ტერამოსთან", საქართველოში თამაშს რატომღა ცდილობს?

— რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამ იტალიურ გუნდს ფინანსური პრობლემები აქვს. თანაც იტალიაში ლეგიონერებზე, ლიმიტია და ნიკაც ვერ ახერხებს თამაშს. ამიტომ სურდა დრო უქმად არ დაეკარგა და საქართველოში ეთამაშა, სანამ მისი საკითხი საბოლოოდ გაირკვეოდა.

**გიორგი არაბული**

# მანუმ შპრაინა დაიწყო

**კიევი — დონეცკი 70:67**

**მანუჩარ მარკოიშვილი:** 18 წუთი, 2 ქულა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1-დან 1 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი.

**საშინაო** მატჩით დაიწყო ახალი სეზონი მანუჩარ მარკოიშვილის „კიევმა" და, რაც მთავარია, უკრაინის ჩემპიონატის პირველი მატჩი მოიგო. მართალია, ეს წარმატება არ იყო ისეთი შთამბეჭდავი, როგორიც გასულ რეგულარულში სჩვეოდა, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში მაინც მოგება იყო.

მანუჩარ მარკოიშვილისთვის ეს შეხვედრა ნამდვილად არ იყო საუკეთესო მის უკრაინულ კარიერაში. „მანუმ" ვერც ერთ სათამაშო კომპონენტში ვერ შეძლო თავის განსაკუთრებით გამორჩენა. არადა, ამისთვის არცთუ ისე ცოტა დრო მიეცა გუნდის ხელმძღვანელებისგან.

მართალია, „მანუმ" მატჩი სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, მაგრამ მალევე ჩაერთო თამაშში და საბოლოოდ მოედანზე 18 წუთი გაატარა.

იმედია, შემდეგი თამაშები ქართველი კალათბურთელისთვის გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე ეს სადებიუტო მატჩი იყო.



საქართველოს კალათბურთის ფედერაცია 70-წლიან იუბილეს ულოცავს თავის საპატიო პრეზიდენტ ალექსანდრე ჩხეიძეს. ბატონი ალექსანდრე არის დამოუკიდებელი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი. იგი 1991-95 წლებში ხელმძღვანელობდა სპორტის ამ სახეობას და პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯებიც ქართულმა კალათბურთმა მისი დახმარებით გადადგა. 1995 წლიდან ალექსანდრე ჩხეიძე არის კალათბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, კალათბურთის ფედერაცია მას ჯანმრთელობას და წარმატებებს უსურვებს.

მისი სამშობლო ომის ქარცეცხლში გაეხვა, ის კი იძულებული იყო, ყველაფრისთვის შორიდან ედევნებინა თვალი. ის იყო ამერიკულ ჯორჯიაში ჩარჩენილი ქართველი — ეს სიტყვების თამაშია, რადგანაც ინგლისურად საქართველოცა და შტატი ჯორჯიაც ერთნაირად იწერება და გამოითქმება — Georgia) მას არ შეეძლო სამშობლოში დაბრუნება მაშინ, როცა ამ ზაფხულს რუსეთი საქართველოში შეიჭრა... ზაზა ფაჩულიასა და საქართველოზე სტატია „ასოშეიტედ პრესის“ ჟურნალისტმა პოლ ნიუბერიმ გამოაქვეყნა და ჩვენც გადმოვაქართულეთ...

# ჩემი ოჯახი საქართველოა!

— დედაჩემი, ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილები, ბაბუა-ბებიები, მეგობრები... ყველანი იქ იყვნენ — ამბობს ფაჩულია — ეს განსაკუთრებით ძნელია, როცა საქართველოსნაირ პატარა ქვეყანასთან გაქვს საქმე. იქ ხომ ყველა ყველას იცნობს.

როცა ომის დროს ვიღაც შეეკითხა, ახლობლები როგორ არიანო, ზაზამ პირდაპირ განუცხადა: „მთელი ქვეყანა ჩემი ოჯახია!“

წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, ის სიბრაზე და ბოღმა, რასაც ზაზა განიცდიდა, როცა ხედავდა, თუ როგორ შეიჭრნენ და დაარბიეს მისი სამმილიონნახევრიანი ქვეყანა რუსებმა. ფაჩულია, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიო, იძულებული იყო, ტელევიზორიდან ეცქირა ცეცხლში გახვეული ქვეყნისთვის, თავისი სამშობლოსთვის.

— ამ ზაფხულს, როცა ეს მოვლენები დაიწყო, ერთად ვიყავით — იხსენებს „ატლანტას“ მწვრთნელი მაიკ ვუდსონი — ის ლამის ტიროდა. ერთი შეხედვითაც შეამჩნევდით, რამდენად ცუდად იყო. თან მას ხომ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ის დახმარებას ითხოვდა.

ზაზას სურდა, როგორმე დახმარებოდა თავის სამშობლოს, მაგრამ იძულებული იყო, ატლანტაში დარჩენილიყო, რადგანაც საქართველოში ჩასვლას ვერაფრით შეძლებდა. ფაჩულიამ ისლა მოიფიქრა, რომ CNN-ის ატლანტის ოფისს მიაკითხა და იქიდან შეეხვეწა მსოფლიო ტელეაუდიტორიას, როგორმე შეეჩერებინათ კონფლიქტი.

ზაზამ, რომელიც პოლიტიკისგან ყოველთვის შორს იდგა, მონაწილეობა მიიღო ქართველებისა და ამერიკელების მიერ ქალაქის ცენტრში მოწყობილ დემონსტრაციაში, რომელიც საქართველოსადმი მხარდაჭერას გამოხატავდა.

„არავის განსჯას არ ვაპირებ და ეს ჩემი საქმე არც არის — თქვა მან — უბრალოდ მინდა, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდეს“.

„ქორებმა“ სავარჯიშო ბანაკი ამ კვირას გახსნეს და ფაჩულია ამტკიცებს, რომ ახლა მთლიანად კალათბურთზეა კონცენტრირებული და უნდა, გუნდს კიდევ ერთხელ დაეხმაროს პლეი ოფში გასვლაში. „ატლანტაც“ იმედოვნებს, რომ ზაზა ისევე უტეხად და მტკიცედ ითამაშებს, როგორც წლევანდელ პლეი ოფში, როცა თვით კევინ გარნეტს არ შეუშინდა და გუნდს დაეხმარა, მომავალ ჩემპიონ „ბოსტონ სელტიქსთან“ სერია მეშვიდე მატჩამდე მიეყვანა.

მოედნის მიღმა კი ფაჩულია ისევ ადევნებს თვალს თავის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს:

„კიდევ კარგი, ხალხი მაინც აღარ იხოცება ყოველდღიურად და ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ესაა.



მე პოლიტიკოსი არ ვარ. რა თქმა უნდა, ძალიან ვღელავ ჩემს ქვეყანაზე, მაგრამ ახლა მას ვერაფრით დავეხმარები“.

მას ძალიან აინტერესებს, შეასრულებენ თუ არა რუსები ნაკისრ ვალდებულებებს და გაიყვანენ თუ არა ჯარს მომდევნო კვირაში, მით უმეტეს, ახლა, როცა მდგომარეობა ისევ დაძაბულია და ორივე მხარე ყოველდღიურად ერთმანეთს ადანაშაულებს ახალ პროვოკაციებში.

ევროკავშირის პატრულის ამოქმედებამ ვითარების მეტ-ნაკლებად ნორმალიზება შეძლო, მაგრამ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის განცხადებამ, რომელმაც უკრაინა ომის დროს საქართველოს იარაღით დახმარებაში დაადანაშაულა, შეიძლება ვითარება ისევ უკიდურესად დაძაბოს. ასე რომ, შეიძლება კონფლიქტში მესამე მხარეც ჩაითრიონ.

— ეს კონფლიქტი არ ამოწურულა — ამბობს ფაჩულია — ისინი ამას უკვე ცივ ომს ეძახიან. რუსული ჯარი ისევ ქვეყანაშია. ვიცი, რომ 10 ოქტომბრისთვის რუსებმა უნდა გაიყვანონ ჯარები. ისღა დამრჩენია, იმედი ვიქონიო, რომ ამ პირობას შეასრულებენ. მათ ხომ არაერთხელ განაცხადეს, მივდივართო, მაგრამ...

აქ მისი ხმა წყდება.

„უბრალოდ მაინტერესებს, თუ კიდევ არის დარჩენილი სახლები, რომლებიც დაბომბვას გადაურჩნენ“.

მართალია, სახლში ჩასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ ის მაინც შეუერთდა ეროვნულ ნაკრებს, რომელიც იძულებული იყო, 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ყველა მატჩი სტუმრად ჩაეტარებინა. ნაკრებმაც თავი არ შეირცხვინა და ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგო, მხოლოდ ერთში დამარცხდა, ისიც სულ ორი ქულით.

— ნაკრებში თამაში მართლაც განსაკუთრებული იყო ჩემთვის. ჩვენ გვინდოდა, გვეჩვენებინა ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვის, რომ ისევ ცოცხლები ვართ. მართალია, ჩვენი ქვეყანა იბომბება, მაგრამ ჩვენ საქმის კეთება მაინც შეგვიძლია — თქვა ზაზამ.

თუმც ზაზას არანაირი ქვენა გრძნობა არა აქვს რუსი ხალხისადმი. იუტელი ანდრეი კირილენკო მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. გარდა ამისა, ფაჩულიას ახლო კონტაქტი აქვს ატლანატას ჰოკეის გუნდ „ტრეშერზის“ რუს მოთამაშეებთან, ილია კოვალჩუკთან და სლავა კოზლოვთან.

— ამან ჩვენს მეგობრობაზე არ უნდა იმოქმედოს — ამბობს ზაზა — დარწმუნებული ვარ, მათ ჩემსავით მშვიდობა სურთ. რა მნიშვნელობა აქვს ქართველია თუ რუსი, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე მნიშვნელოვანია.

და კალათბურთიც.

— შარშან როტაციას არცთუ ხშირად ვიყენებდით და ამან მასზე იმოქმედა. ალბათ ის ფიქრობდა, რომ მოედანზე იმდენ დროს არ ატარებდა, რამდენსაც იმსახურებდა — აცხადებს „ქორების“ დამრიგებელი — როგორც მწვრთნელი, ვალდებული ვარ, მას მხარში დავუდგე და დავეხმარო, რადგანაც ჩვენ გვჭირდება ზაზა. ის ყოველთვის ნაწილი იყო იმისა, რასაც აქ ვაკეთებდით და ახლაც ასეა. მინდა, რომ მან ეს იცოდეს.

ფაჩულიამაც, თავის მხრივ, ამ ზაფხულს ჩვეულზე მეტი დრო გაატარა სატრენაჟორო დარბაზში. მართალია, რამდენიმე კილო დაიკლო, მაგრამ სამაგიეროდ, კუნთების სისტემა განივითარა. „ქორები“ თავისი 24 წლის ცენტრისგან სწორედ ძალისმიერ კალათბურთს ითხოვენ.

— ვიცი, რომ ზაზას შეუძლია ამის გაკეთება — ამბობს ვუდსონი — ახლა მხოლოდ მასზეა ყველაფერი დამოკიდებული. მთავარია, მან კომფორტულად იგრძნოს თავი და გააკეთოს საქმე ისე, როგორც მისნაირი მონდომების ადამიანს ეკადრება.

ფაჩულიამაც იცის, რომ ამ ზაფხულისგან განსხვავებით, ახლა ყველაფერი მის ხელთაა და ის არავისზე დამოკიდებული აღარ არის.



# ანა ტროას იპყრობს



ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა აშშ-ს ქალაქ ტროაში 50 ათას დოლარიან ტურნირზე ოთხი თამაში მოიგო და ფინალში გავიდა.

ანამ პირველ წრეში ტურნირის მეშვიდე ნომერი უკრაინელი ტატიანა ლუჟანსკა 6:2 3:6 6:2 დაჩაგრა, მერე კი სლოვენიელ პეტრა რამპრეს მოუგო 6:1 7:6 და ხორვატი ანა სავიჩის პირისპირ დადგა. ორი ანას დაპირისპირება ქართველის გამარჯვებით [illegible] 6:1 6:1. ნახევარფინალში ტატიშვილის მეტოქე მასპინძელი [illegible] სპირსი იყო და დაძაბულ მატჩში ჩვენებურმა სპირსი 5:7 6:3 7:5 დაჩოგნა.

ფინალში ანა ტატიშვილის მეტოქე ბრიტანელი ჯიორჯი სტეპი იქნება, რომელმაც ტურნირის ნომერ პირველი ჩოგბურთელი, ამერიკელი ჯული დიტი უკვე მეორე წრიდან გაუშვა სახლში.

ანა წყვილებშიც ჩოგნაობდა ამერიკელ ბრუნგელსთან ერთად და პირველი შეხვედრა ბრიტანელი კარტერისა და კანადელი დაბროვსკის დუეტს იოლად მოუგო — 6:1 6:1. მეოთხედფინალში ქართულ-ამერიკულმა ტანდემმა მასპინძლების აუგუსტინისა და ელიეს წყვილს 6:7 6:2 10:7 აჯობა და ნახევარფინალს უწია, სადაც მეორე ნომრად განთესილებს — ამერიკელ ჰეინზის და ინდოელ რაოს — ვერაფერი მოუხერხა, 2:6 4:6.

**ნიკა კოპაძე**





# ჭანტურიას სამი ლიგური

ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩები დაიწყო და რევაზ ჭანტურიას „მეტალურგმა“ სტუმრად „კილთან“ ითამაშა. ქართველის გუნდი სიკვდილის ჯგუფშია მოხვედრილი და ძნელად, რომ მომდევნო წრეში გავიდეს. გერმანულმა გრანდმა მაკედონიურ გუნდს შავი დღე აყარა და 37:29 მოუგო, თუმც მასპინძლები რომ „მეტალურგს“ დაამარცხებდნენ რთული გამოსაცნობი არ იყო...

ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ „კილს“ ქართველის გუნდმა პირველ ტაიმში დიდი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ სამი ბურთით 15:18 დამარცხდა. აი, მეორე ტაიმიდან კი გერმანელებმა აიწყვიტეს და...

რევაზ ჭანტურიამ მეტოქეს 3 გოლი გაუტანა. მისი გუნდი კი მომდევნო თამაშს 12 ოქტომბერს სკოპიეში „ბარსელონასთან“ ჩაატარებს, ვინც თავის მხრივ ნორვეგიული „დრამენი“ 29:24 დაამარცხა.

**ლექსო მაისურაძე**



# ჩვენები ლივერპულამდე ერევანში იხუხებენ

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს ნოემბერში ლივერპულში გასამართი ევროპის ჩემპიონატი ელის. მანამდე ნაკრების თავკაცი თენგიზ მესხაძე საევროპო შემადგენლობას არჩევს და საამისოდ 7-11 ოქტომბერს სომხეთში გასამართ საერთაშორისო ტურნირს გამოიყენებს.

ნაკრები ერევანში დღეს გაემგზავრება და ეს ტურნირი ჩვენებისთვის ბოლო იქნება ევროპის ჩემპიონატამდე. მესხაძე სომხეთში 11 მოკრივეს იახლებს, თუმცა ჯერ საევროპო სია უცნობია და ბევრი რამ სწორედ ერევნის ტურნირზე უნდა გამოჩნდეს.

მოკრივეებმა ნაკრებში მოსახვედრად მწვრთნელს უნდა მოაწონონ თავი. აქვე ვთქვათ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ნამყოფი მოკრივეებიდან სომხეთში და მერეც ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ კახაბერ ჟვანია (69კგ) იჩხუბებს, რადგან ნიკოლოზ იზორია (57კგ) პეკინიდან ჩამოსვლისთანავე ავარიაში მოყვა და მძიმე ტრავმა მიიღო. ჩხუბს ვინ ჩივის, იზორია ვარჯიშს მხოლოდ 7-8 თვეში თუ მოახერხებს.

**ნიკა კოპაძე**

# საქართველომ კავკასია დაკარგა

**თასის** გათამაშება საცხენოსნო სპორტში ტრადიციული ასპარეზობაა. კერძოდ, დაბრკოლებათა გადალახვაში იგი გულისხმობს როგორც დიდი რეგიონალური, ისე ცალკეული ქვეყნების, ქალაქების, ასევე პიროვნებების სახელზე გამართულ შეჯიბრებას, რომლის სახელწოდება მარტო პრიზის რაობიდან არ გამომდინარეობს: თვით კონკურის (როგორც წესი, ორპიტიანი) დაბრკოლებათა განლაგება, მარშრუტის მოხაზულობა პირობითად თასის ფორმას წააგავს და ამიტომაც თვით საკონკურო ასპარეზობის კონკრეტული სახეობა იმთავითვე მოინათლა ასე.



ვანო ნორაკიძე და მისი ბედაური „დარი“



შალვა გაჩეჩილაძე

საქართველოში ბოლო წლებში, მიუხედავად ცხენოსნობისთვის ერთობ ძნელი პერიოდისა, გარკვეული პოპულარობა მოიპოვა „კავკასიის თასის“ გათამაშებამ, რომელიც 2001 წლიდან თბილისში ტარდებოდა (2005 წლამდე გუნდური — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მონაწილეობით, ხოლო შემდეგ, რახან სომხეთს გუნდი აღარ გამოჰყავდა, პირადი ასპარეზობის სახით). წელს ეს საერთაშორისო შეჯიბრება ბაქოში გაიმართება, რადგანაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ვერ შეძლო სათანადო სახსრების გამოყოფა.

თბილისში ოთხივე გუნდური ასპარეზობა საქართველოს ნაკრებმა მოიგო. 2005-ში პირად შეჯიბრებაში ქართველმა მხედარმა ირაკლი ნარმანიამ („ბრაუნი“) გაიმარჯვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანში კერძო ინიციატივების გამოჩენისა და სახელმწიფოებრივი ზრუნვის გამო საცხენოსნო სპორტის აღმავლობა დაიწყო, ძირითადი პირადი წარმატებები უკვე ულაპარაკოდ აზერბაიჯანელთა მხარესაა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი მხედრები სულ იმედგადაწურულები აპირებენ ბაქოში გამგზავრებას.

სწორედ ამ მომავალი საერთაშორისო ცხენოსნური ასპარეზობის სავარაუდო განწყობილებით ჩატარდა გუშინდელ კვირადღეს საქართველოს თასის გათამაშება დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანზე. თვითონ თასის ასპარეზობა ვერ იყო დიდად სანუგეშო: თავად განსაჯეთ, როდესაც ძირითადი ცხენებით მხოლოდ 3 მონაწილე გამოდის, ეს უკვე საკმაოდ მძიმე ვითარების ამსახველია. მართალია, გამარჯვებულმა შალვა გაჩეჩილაძემ, საქართველოს სპორტისა და ფიზიკური კულტურის აკადემიის მესამეკურსელმა, დაჯერებულად (თუმცა, ჩვენი აზრით, ზედმეტი აჩქარებით) გაიარა „ძნელი A კლასის“ მარშრუტი (მაქსიმალური სიმაღლე 140 სმ) თბილისის იპოდრომის ახალი საკონკურო ბედაურით („ეკლერი“), მაგრამ ვანო ნორაკიძემ („დარი“) 3 დაბრკოლება დააზიანა, ხოლო ჭაბუკი გაგა თოხაძე („ასპარეზი“) მოიხსნა კიდეც. გულშემატკივრებმა შეჯიბრებაზე აშკარად მოინაკლისეს გამოცდილი მხედარი, საქართველოს შს სამინისტროს ცხენოსნური საპატრულო სამსახურის სპორტსმენი როინ მარგიანი. მას ორი კარგად მომზადებული ბედაურით („ზბედი“, „ზეცა“) ხშირად დაუმშვენებია ჩვენი სისხლნაკლული ტურნირები. რაღა შორს წავიდეთ: რ. მარგიანი საქართველოს წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონია!

საქართველოში ცხენოსნობის საგანგაშოდ „გაახალგაზრდავებაზე“ ბევრჯერ დაგვიწერია, ხოლო ყოველი კონკრეტული ფაქტი მწვავედ შეგვახსენებს ამ სატკივარს. ამიტომაც გაგვიხარდა ამ ტურნირზე მეორე ვეტერანის (ეს ჩვენი სინამდვილისთვის, თორემ 40 წლის მხედარი ამ განსაზღვრებით არსად მოიხსენიება) კახაბერ კიკიანის გამოსვლა. ახალგაზრდა ცხენებით კი „საქართველოს თასი“ მოიგო ვანო ნორაკიძემ („ეროსი“). ეს გამარჯვება მით უფრო ფასეულია, რომ ეს წარმატება მან მოიპოვა დამატებით ხტომებში გამოცდილ გიორგი სამხარაძესთან („ელპერილი“) დაპირისპირებით.

ბაქოში, როგორც წინასწარ ვიცით, კავკასიურ ტურნირზე 3 ასპარეზობაა დაგეგმილი: გახსნის პრიზის გათამაშებას მოჰყვება „6 დაბრკოლების“ კონკური (შემდეგ უკვე „თასი), ამიტომაც ჩვენს „საქართველოს თასს“ სწორედ ეს მრავალპიტიანი დინამიკური ასპარეზობა უძღოდა წინ. ძირითადი ცხენებით გაიმარჯვა დ. თოხაძემ („ასპარეზი“), მეორე იყო შ. გაჩეჩილაძე („ეკლერი“), მესამე — ვ. ნორაკიძე („დარი“). ახალგაზრდა ცხენით კი ვ. ნორაკიძემ გაიმარჯვა, მეორე იყო ომარ გელაშვილი („ტეადორ II“), მესამე-მეოთხე ადგილები გიორგი ქობლიანიძემ („გევა“) და ირაკლი გელაშვილმა („ელემაქსი“) გაიყვეს.

**ნოდარ ეგრალიძე**



# საათივით ბერდიხი

**კაცები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 869 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (5, არგენტინა) — რიშარ გასკე (4, საფრანგეთი) 6:3 4:6 7:5; ტომაშ ბერდიხი (9, ჩეხეთი) — ენდი როდიკი (2, აშშ) 6:7 7:5 7:6**

**ფინალი**

**ბერდიხი — დელ პოტრო 6:1 6:4**

ტომაშ ბერდიხმა ტოკიოში ისეთი აღმაფრენით ითამაშა, როგორც ბოლო წელიწადნახევარში ერთხელაც არ გამოსვლია. ჩეხი კარგა ხანს ტრიალებდა ტოპ-ათეულში, მაგრამ ეს სეზონი აშკარად ჩააგდო და წლეულს თუ რამე დაეკვეხნებოდა, მხოლოდ შვედური ბასტადის ფინალში გასვლა გახლდათ, სადაც ტომი რობრედოსთან წააგო. მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანაში ნაჩვენები შთამბეჭდავი ჩოგბურთით ჩეხმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა თავისი ნიჭი. ისე, ეს ბიჭი ცოტა მეტად სტაბილური რომ იყოს, ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნებოდა.

ტოკიოში კი ბერდიხმა ბლომად ბობოლები მიჩოგნა — პირველ რიგში ბასტადური მარცხისთვის იძია შური და რობრედო დააჩოქა, რასაც მალე ტურნირის მესამე ნომერი ფერნანდო გონსალესიც მიაყოლა. ამის შემდეგ მეორე ნომერ ენდი როდიკის დრო დადგა. თუმც აქ ტომაშს მართლაც ძალიან გაუჭირდა და იღბალი რომ არა, უეჭველად უნდა წაეგო. ბერდიხი ამერიკელთან მესამე სეტში 2:5-ს აგებდა და ცოტა მოიძებნებოდა ისეთი, ვინც იმ მომენტში მასზე ფსონს დადებდა. მაგრამ ჩეხი ადგა და ამ ორმოდანაც ამოძვრა, საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა და იქ უკვე საბოლოოდ გატეხა ამერიკელი.

ასეთი თავგადასავლების შემდეგ ბერდიხი ფინალში მოგებაზე დაგეშილი გავიდა და სატიტულო მატჩი ერთი ამოსუნთქვით, 77 წუთში, ჩაატარა. არადა, ტომაშს აქაც სერიოზული მეტოქე ჰყავდა ხუან მარტინ დელ პოტროს სახით, რომელიც ბოლო თვეებში უდავოდ საუკეთესო ფორმაში იმყოფება, თუმცა ბერდიხს ვერც ახალგაზრდა არგენტინელმა მოუხერხა რამე და ფარ-ხმალი მალევე დაყარა.

„დღეს მან ფანტასტიკურად ითამაშა. როცა ჩოგბურთელს ასე წაუვა თამაში, წარმოუდგენელია, რამე დაუპირისპირო“ — თავს იმართლებდა ნამატჩევს დელ პოტრო.

„ვინმეს წინასწარ რომ ეთქვა, ასეთი უპირატესობით მოიგებო, არ დავუჯერებდი. ხუან მარტინი ხომ ბოლო ხანებში დიდებულ ჩოგბურთს აჩვენებს. მაგრამ საქმე თავიდანვე საათივით აეწყო და ბოლომდე ასე გაგრძელდა“ — ხარობდა ბერდიხი.

ჩეხისთვის ეს მეოთხე საკარიერო ტიტულია, თან პირველი, რომელიც ჰარდზე მოიგო. ამასთანავე წლეულს ეს ბერდიხის პირველი წარმატებაა — ბოლოს მან ტურნირი გასული წლის ზაფხულში, გერმანულ ჰალეში მოიგო.

ამ გამარჯვების მიუხედავად, ჩეხს მასტერსის თასზე მოხვედრის არცთუ სახარბიელო შანსები აქვს. სამაგიეროდ, სერიოზულად წინ წავიდა დელ პოტრომ, რომელიც საჩემპიონო რბოლაში მე-9 ადგილამდე ადზევდა და ახლა შანხაიში წამსვლელ ბოლო, მერვე ადგილზე მყოფ ჯეიმს ბლეიკს ფაქტობრივად დაეწია.

**კაცები**
მეცი. საფრანგეთი. ჰარდი
საპრიზო 370 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**დმიტრი ტურსუნოვი (5, რუსეთი) — რადეკ შტეპანეკი (7, ჩეხეთი) 6:3 6:4; პოლ-ანრი მატიო (4, საფრანგეთი) — ადრიან მანარინი (საფრანგეთი) 7:6 7:6**

**ფინალი**

**ტურსუნოვი — მატიო 7:6 1:6 6:4**

**ქალები**
შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი
საპრიზო 650 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ნადია პეტროვა (რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:4 6:4; ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — ვინუს უილიამსი (6, აშშ) 6:7 7:5 6:2**

**ფინალი**

**იანკოვიჩი — პეტროვა 6:4 6:3**

რეიტინგის სათავეში დაბრუნება ელენა იანკოვიჩმა ისე აღნიშნა, როგორც ჭეშმარიტ მსოფლიოს პირველ ჩოგანს ეკადრება და შტუტგარტის ფრიად წარმომადგენლობითი ტურნირის მოგებით თავისი ახალი სტატუსი კიდევ უფრო გაიმყარა.

იანკოვიჩი პირველ ნომრობას რომ დაიბრუნებდა, ჯერ კიდევ კვირის შუაში გახდა ცნობილი, როცა სერენა უილიამსი ნა ლისგან მიიჩოგნა. თუმც ამან სერბი არ მოადუნა და მიზნის მიღწევის მიუხედავად, ტიტულისთვის თავდადებულად იბრძოლა.

სერენას უფროსმა დამ, ვინუსმა, კი სცადა, ელენასთვის ზეიმი ჩაეშხამებინა და ნახევარფინალში სერიოზული ომიც გაუმართა. მაგრამ სერბი ამ ხორცსაკეპიდანაც სალსალამათი გამოვიდა და მიუხედავად იმისა, რომ კორტზე 2 საათი და 45 წუთი გაატარა და ძალიანაც დაიღალა, ამერიკელს მაინც მოერია. ასე რომ, ვინუსთან პირად შეხვედრებში ელენა უკვე 5:3 იგებს.

არსებობდა საფრთხე, რომ ასეთი მომქანცველი მატჩის შემდეგ იანკოვიჩს ფინალში მაგრად გაუჭირდებოდა, მაგრამ სერბს ნადია პეტროვა დიდად დაეხმარა — რუსმა იფიქრა, ასეთ მეტოქესთან შეხვედრაში აგრესიულად თუ არ ვითამაშე, არაფერი გამომივაო და მაგარი ავანტიურისტული ჩოგბურთიც გააჩაღა. ელენა კი პირიქით, ძალიან მშვიდად და დაკვირვებულად მოქმედებდა. შედეგად პეტროვამ ბლომად უაზრო შეცდომები დაუშვა და სერბს საქმე გვარიანადაც გაუადვილა.

იანკოვიჩისთვის ეს წლეულს მოგებული მესამე, სულ კი მერვე საკარიერო ტიტულია. სხვათა შორის, სერბმა წინა კვირას პეკინშიც იხეირა და კარიერაში პირველად შეძლო ზედიზედ ორი ტურნირის მოგება.

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**კაროლინ ვოზნიაკი (1, დანია) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვენია) 6:4 6:3; კაია კანეპი (5, ესტონეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (8, კანადა) 6:4 6:4**

**ფინალი**

**ვოზნიაკი — კანეპი 6:2 3:6 6:1**

ძლიერად ჩატარებული ზაფხულის შემდეგ, როცა კაროლინ ვოზნიაკიმ ორი ტურნირი მოიგო და ტოპოცეულშიც შეაბიჯა, დანიელმა თინეიჯერმა შემოდგომა მძიმედ დაიწყო და ზედიზედ ორჯერ პირველივე წრეებში წააგო.

თუმც კაროლინამ გუშინ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, თუ რატომ უწოდებენ მას ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს. მან კარგად გამართული და საკმაოდ ჭკვიანური ჩოგბურთი ითამაშა და მესამე კარიერული ტიტული დაიმსახურა.

ჩემპიონს მხოლოდ ტურნირის პირველ და ბოლო მატჩებში — გიზელა დულკოსთან და კაია კანეპისთან — გაუჭირდა, როცა ორივესთან თითო სეტი დათმო. სხვა მხრივ კი ყველაზე ერთი თავით მაღლა იდგა.

**ქალები**
ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**სორანა კირსტეა (რუმინეთი) — მაგდალენა რიბარიკოვა (5, სლოვაკეთი) 6:3 (უარი); საბინე ლისიცკი (4, გერმანია) — შუაი პენგი (1, ჩინეთი) 5:7 6:3 6:4**

**ფინალი**

**კირსტეა — ლისიცკი 2:6 6:4 7:6**

თავისი პირველი ტიტული გაინაღდა სორანა კირსტეამ. რუმინელის ყველაზე დიდი მიღწევა აქამდე შარშან ბუდაპეშტის ფინალში გასვლა იყო, თუმც მაშინ ის გიზელა დულკოსთან დამარცხდა.

ამჯერად კირსტეას უფრო სუსტი მეტოქე ჰყავდა საბინე ლისიცკის სახით, რომელიც ყველაფერთან ერთად საკმაოდ დაღლილი იყო ნახევარფინალში ტურნირის პირველ ნომერ შუაი პენგთან გადატანილი ბრძოლით. კირსტეამაც ამით მშვენივრად ისარგებლა და პირველად აღმართა გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თასი.

**კახა ლომაშვილი**

# უფროსი, უმცროსი და ჯერი საშუალოზეა



მიშელ დი მელიომ ჩემპიონობა შამპანურით დაასველა

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლში — XVI ეტაპი. ავსტრალიის დიდი პრიზი. სიდნეი. 5 ოქტომბერი**

**მოტო GP (27 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) | 40 წთ 56,643 წმ |
| 2. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) | 41.03,147 |
| 3. ნიკი ჰაიდენი (აშშ, „ჰონდა“) | 41.03,848 |
| 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) | 41.08,143 |
| 5. შინია ნაკანო (იაპონია, „ჰონდა“) | 41.08,557 |

საერთო ჩათვლა: 1. როსი 332 ქულა; 2. სტოუნერი 245; 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“) 209; 4. ლორენცო 182; 5. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა“) 145

**250 კბ/სმ (25 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა“) | 39 წთ 02,553 წმ |
| 2. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია“) | 39.02,776 |
| 3. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) | 39.17,003 |
| 4. ხულიან სიმონი (ესპანეთი, KTM) | 39.17,031 |
| 5. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია“) | 39.28,779 |

საერთო ჩათვლა: 1. სიმონჩელი 240 ქულა; 2. ბაუტისტა 203; 3. კალიო 191; 4. დებონი 166; 5. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“) 142

**125 კბ/სმ (23 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი“) | 37 წთ 55,589 წმ |
| 2. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) | 38.05,844 |
| 3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია“) | 38.08,695 |
| 4. ანდრეა იანონე (იტალია, „აპრილია“) | 38.08.738 |
| 5. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი“) | 38.22,385 |

საერთო ჩათვლა: 1. დი მელიო 237; 2. ბრადლი 187; 3. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“) 183; 4. ტალმაში 181; 5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) 149

**მსოფლიო** მოტორბოლის იტალიელმა „დოქტორმა“ ვალენტინო როსიმ ზედიზედ ხუთი ეტაპის მოგებისა და „სამეფო“, მოტოჯიპის კლასში მე-6, ყველა კლასში ერთად აღებული კი მე-8 ტიტულის განაღდების შემდეგ თავს მცირედით ამოსუნთქვის უფლება მისცა და სიდნეიში, სადაც ავსტრალიის დიდი პრიზი გათამაშდა, პირველობა მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს, ეტაპის მასპინძელ კეისი სტოუნერს დაუთმო.

როსი სიდნეიში მეორე იყო და მთლიანობაში თუ ავიღებთ, მისი წლევანდელი მონაგარი, ჩემპიონატის ფინიშამდე 2 ეტაპით ადრე, მართლაც ფანტასტიკურია — 16 რბოლაში 14 პოდიუმი, რომელიც 8 პირველ, 5 მეორე და ერთ მესამე ადგილებზე ნაწილდება.

ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ „დოქტორმა“ სრულად დაამტკიცა თავისი სიძლიერე და ავსტრალიური ეტაპის ფინიშის შემდეგ სტოუნერი შეაქო, მაგარი ბიჭია და ჩვენი ბრძოლა გაისადაც დიდებული სანახავი იქნებაო.

წესით, უნდა იყოს კიდეც. 22 წლის სტოუნერმა, თავის მხრივ, წლეულს 5 ეტაპის მოგება მოახერხა (კიდევ სამჯერ მეორე იყო, ხოლო ორჯერ — მესამე) და დაამტკიცა, რომ შარშან შემთხვევით არ გამხდარა ჩემპიონი.

სეზონის სტარტზე ისე ჩანდა, როსისა და სტოუნერს ესპანელები — დანი პედროსა და ხორხე ლორენცო გაუწევენ წინააღმდეგობასო, მაგრამ ამათ დიდებული დასაწყისის შემდეგ მკვეთრად მოუკლეს და ბოლო ეტაპებზე ვალენტინოსა და კეისას კონკურენციას არა ისინი, არამედ მსოფლიოს შარშანწინდელი ჩემპიონი, ამერიკელი ნიკი ჰაიდენი უფრო უწევს, რომელმაც სიდნეიში მესამემ უწია ფინიშს.

„უფროს“, „სამეფო“ კლასში ჩემპიონის ვინაობა ჯერ კიდევ წინა ეტაპზე გაირკვა და სიდნეიში კი გვირგვინი „უმცროსი“, 125-იანთა კლასის ფრანგმა მრბოლმა მიშელ დი მელიომ დაიდგა, რომელმაც ამ ეტაპის მოგების შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციაში 50 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ გერმანელ შტეფან ბრადლს და დარჩენილ ორ ეტაპზე ბრადლი თეორიულად კი შეიძლება დაეწიოს დი მელიოს, მაგრამ თანაბარი ქულების შემთხვევაში დამატებითი მონაცემებით პირველობა მაინც ფრანგს დარჩება.

ფაქტობრივად გარკვეულია ჩემპიონის ვინაობა „საშუალო“, 250-იანთა კლასშიც. სიდნეიში გამარჯვებული იტალიელი მარკო სიმონჩელი საერთო ჩათვლაში 37 ქულით უსწრებს ესპანელ ალვარო ბაუტისტას და ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ ორ ეტაპზე ესპანელმა ამხელა ჩამორჩენის გაბათილება რომ შეძლოს.

**ქახა ლომაძე**



**შანხაის მასტერსი. შანხაი. ჩინეთი. 29 სექტემბერი — 4 ოქტომბერი**

# რიკი უოლდენი დრაკონების ქალაქში ოსალივანმა ვერ გაასამა

**ბოლოს** როდის იყო, ერთ მოთამაშეს ზედიზედ სამი სარეიტინგო ტურნირი მოეგოს, ცოტა ძნელი გასახსენებელია. კაცმა გონება რომ დაძაბოს, იქნებ ის დრო გაიხსენოს, დიადი სქოთი სტივ ჰენდრი ყველაფერს რომ იგებდა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ჰენდრისაც შეეპარა ასაკი და სნუკერის მაგიდასთანაც სხვები გამოჩნდნენ.

რონი ოსალივანი სულ სხვა არ არის. რონი ოსალივანი დიდი ჩემპიონია, ვისაც ჰენდრიზე არანაკლებ ტიტულებს უწინასწარმეტყველებდნენ და მართალია, მთლად შოტლანდიელის დონეზე ვერ ავიდა, რონიმაც უდიდესი სიმაღლეები დაიპყრო.

მოკლედ რომ ვთქვათ, სუპერვეტერან, ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონ სტივ დევისისა და შვიდგზის ტრიუმფატორ ჰენდრის შემდეგ თანამედროვე სნუკერში ყველაზე ტიტულოვანი კაცი, სწორედ „რაკეტად“ წოდებული რონი ოსალივანია, ვისაც სნუკერის მაგიდასთან ჯადოქრობა შეუძლია.

და აი, მთელი ამხელა შესავლის შემდეგ ის უნდა ვთქვათ, რომ რონიმ ვერ შეძლო ზედიზედ სამი სარეიტინო ტურნირის მოგება — გაზაფხულზე „რაკეტამ“ მართლაც რომ გადაუფრინა სნუკერის სამყაროს და მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, 2008-09 წლების სეზონის სტარტზე კი ჩრდილოეთ ირლანდიის თასი მოიგო და გუშინ კი ის ძალიან ახლოს იყო ზედიზედ მესამე ტრიუმფთან, შანხაის მასტერსის მოგებასთან, მაგრამ თავისთვის წყეულ ჩინურ ბარიერს ვერ გადაახტა — ყოველთვის ამბობდა, ჩინეთში თამაშისას მოტივაციას ვერ ვგრძნობო და იმის მიუხედავად, რომ მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ორი დიდებული მატჩი ჩაატარა, საფინალოდ მტივაციას თავი ველარ მოუყარა, ყველასთვის უცნობ უელსელ რიკი უოლდენთან წააგო.

...და, დრაკონები, დრაკონები, დრაკონები... ბოდიშით, სიზმრის ვირთხებთან... მეორე წელია, რაც შანხაის მასტერსი სარეიტინგო ტურნირია და მეორე წელია, ამ შეჯიბრს უელსელი იგებს. აშკარად დრაკონების ამბავია. ურჩხულები სჩხიბავენ რაღაცას — აქეთ ჩინური და იქით უელსური დრაკონები. რას გაიგებ ურჩხულთა ამბავს.

დიახ, ასეა — შარშანდელი შანხაის მასტერსის ფინალი უელსური იყო — დომინიკ დეილმა რაიან დეის მოუგო და წლეულს კი ეს ბიჭები ნაადრევად ჩამოშორდნენ ტიტულისთვის ბრძოლას, ყველაზე ცნობილი უელსელი მარკ უილიამსიც ვერაფერს გახდა რონისთან, მეოთხედფინალში 3:5 დამარცხდა, მაგრამ გამოხტა მავანი უოლდენი, რომელმაც ურჩხულისებრი სვლა კვალიფიკაციიდან დაიწყო, შემდეგ ავსტრალიელ ფავორიტ ნილ რობერტსონს გადაუარა, მეოთხედფინალში სუპერვეტერანი სტივ დევისი 5:2 დასცა, ნახევარფინალში კი მესამე ნომერ მარკ სელბას აჯობა 6:4 და ფინალს უწია.

ეგ არის და ეგ, მეტს ვეღარაფერს შეძლებსო, ასე თქვეს საქმეში ჩახედულებმა, მით უმეტეს, რომ მეორე მხრიდან ფინალს რონი ოსალივანმა უწია, რომელმაც უილიამსთან 5:3 მოგების შემდეგ ზღაპრულ ორთაბრძოლაში 6:5 მოუგო კლასიფიკაციის მეორე საფეხურზე მყოფ სქოთ სტივ მაგუაერს. თამაშის მსვლელობისას რონიმ 141-ქულიანი ბრეიკი გააკეთა, ხოლო გადამწყვეტ მე-11 ფრეიმში, სულაც 145-ქულიანი ბრეიკი დახატა და ფინალში ორასპროცენტიანი ფავორიტის სტატუსით შევიდა.

...ფინალი უოლდენმა 10:8 მოიგო. შანხაი დრაკონების ქალაქია...



რიკი უოლდენმა რონი ოსალივანს ხასიათი წაუხდინა



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია II ბუნდესლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 180 | მაინცი-ვეენი | 1.40 | 4.20 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.69 |
| | | შვეიცარია სუპერლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 238 | ლუცერნი-ციურიხი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | იტალია. სერია B 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 241 | ემპოლი-ლივორნო | 2.30 | 2.80 | 3.45 | 1.26 | 1.37 | 1.54 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 323 | სტრასბური-ნიმი | 1.45 | 3.75 | 8.00 | 1.04 | 1.22 | 2.55 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 363 | გიმარაეში-ბრაგა | 2.20 | 3.20 | 3.30 | 1.30 | 1.32 | 1.62 |
| 23:55 | 364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 4.80 | 3.40 | 1.75 | 1.99 | 1.28 | 1.15 |
| | | 7 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 2.10 | 3.20 | 3.50 | 1.26 | 1.31 | 1.67 |
| | | თურქეთი. სუპერლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 1.25 | 5.50 | 11.00 | 1.01 | 1.12 | 3.66 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:15 | 367 | სპარტა-სლავია | 2.55 | 2.90 | 2.90 | 1.35 | 1.35 | 1.45 |
| 22:00 | 368 | ბანიკი-ლიბერეცი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| | | დანია. სუპერლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 5.60 | 3.80 | 1.60 | 2.26 | 1.24 | 1.12 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 388 | მოლდე-ბრანი | 2.35 | 3.40 | 2.80 | 1.38 | 1.27 | 1.53 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 397 | მალმიო-იორებრო | 2.05 | 3.30 | 3.60 | 1.26 | 1.30 | 1.72 |
| 21:00 | 398 | ნორჩიოპინგი-გაის | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 21:45 | 399 | გიოტებორგი-ჰამარბიუ | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა 6 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 412 | კოტებე-როვანიემი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები 11 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 61 | შოტლანდია-ნორვეგია | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 18:00 | 62 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 63 | ფინეთი-აზერბაიჯანი 0:1 | 1.50 | 3,60 | 3.65 | | | |
| 19:00 | 64 | პოლონეთი-ჩეხეთი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 65 | სერბეთი-ლიტვა | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 66 | ფარერები-ავსტრია | 16.00 | 7.20 | 1.10 | 4.96 | 1.02 | 1.00 |
| 19:00 | 67 | ფარერები-ავსტრია 1:0 | 6.10 | 4.50 | 1.20 | | | |
| 19:45 | 68 | შვეიცარია-ლატვია | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 20:15 | 69 | ინგლისი-ყაზახეთი | 1.05 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.62 |
| 20:15 | 70 | ინგლისი-ყაზახეთი 0:1 | 1.15 | 5.00 | 8.50 | | | |
| 20:30 | 71 | უელსი-ლიხტენშტაინი | 1.00 | | | | | |
| 20:30 | 72 | უელსი-ლიხტენშტაინი 0:1 | 1.20 | 4.50 | 6.00 | | | |
| 21:00 | 73 | უკრაინა-ხორვატია | 2.35 | 3.10 | 2.85 | 1.33 | 1.28 | 1.48 |
| 21:15 | 74 | რუმინეთი-საფრანგეთი | 2.90 | 3.20 | 2.30 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 21:45 | 75 | უნგრეთი-ალბანეთი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 22:00 | 76 | შვედეთი-პორტუგალია | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 23:00 | 77 | თურქეთი-ბოსნია | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 23:00 | 78 | თურქეთი-ბოსნია 0:1 | 1.90 | 3.50 | 2.70 | | | |
| 22:15 | 79 | ლუქსემბურგი-ისრაელი | 10.00 | 5.00 | 1.25 | 3.33 | 1.11 | 1.00 |
| 22:15 | 80 | ლუქსემბურგი-ისრაელი 1:0 | 3.60 | 3.60 | 1.60 | | | |
| 22:15 | 81 | დანია-მალტა | 1.05 | 10.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 22:15 | 82 | დანია-მალტა 0:1 | 1.15 | 5.00 | 8.50 | | | |
| 22:15 | 83 | ბულგარეთი-იტალია | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 22:30 | 84 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.00 | | | | | |
| 22:30 | 85 | საბერძნეთი-მოლდოვა 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.00 | | | |
| 23:30 | 86 | სან მარინო-სლოვაკეთი | 25.00 | 8.30 | 1.06 | 6.23 | 1.01 | 1.00 |
| 23:30 | 87 | სან მარინო-სლოვაკეთი 1:0 | 8.00 | 5.00 | 1.15 | | | |
| 22:45 | 88 | სლოვენია-ჩრ. ირლანდია | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 89 | ბელგია-სომხეთი | 1.20 | 5.40 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.72 |
| 22:45 | 90 | ბელგია-სომხეთი 0:1 | 1.50 | 3.70 | 4.10 | | | |
| 22:45 | 92 | ესტონეთი-ესპანეთი 1:0 | 4.00 | 3.70 | 1.50 | | | |
| 22:45 | 93 | გერმანია-რუსეთი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 22:45 | 94 | ჰოლანდია-ისლანდია | 1.15 | 6.30 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.24 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10180 | მაინცი-ვეენი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10323 | სტრასბური-ნიმი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10363 | გიმარაეში-ბრაგა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 5.00 | 2.20 | 1.90 | 1.52 | 1.37 | 1.01 |
| 10388 | მოლდე-ბრანი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11180 | მაინცი-ვეენი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11323 | სტრასბური-ნიმი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11363 | გიმარაეში-ბრაგა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11388 | მოლდე-ბრანი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15180 | მაინცი-ვეენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15323 | სტრასბური-ნიმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | გიმარაეში-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15388 | მოლდე-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16180 | მაინცი-ვეენი | 1.11 | 5.70 |
| 16323 | სტრასბური-ნიმი | 1.12 | 4.60 |
| 16363 | გიმარაეში-ბრაგა | 1.55 | 2.20 |
| 16364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 3.30 | 1.25 |
| 16366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 1.05 | 5.70 |
| 16379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 3.60 | 1.23 |
| 16388 | მოლდე-ბრანი | 1.65 | 2.05 |
| 16365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 1.50 | 2.30 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14180 | მაინცი-ვეენი | 1.20 | 2.60 |
| 14323 | სტრასბური-ნიმი | 1.20 | 2.60 |
| 14363 | გიმარაეში-ბრაგა | 1.80 | 2.00 |
| 14364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 2.40 | 1.45 |
| 14366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 1.08 | 2.90 |
| 14379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 2.50 | 1.30 |
| 14388 | მოლდე-ბრანი | 1.80 | 2.00 |
| 14365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 1.75 | 2.10 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | 5ზე მეტ |
|---|---|---|---|---|
| 12180 | მაინცი-ვეენი 2,5 | 2.20 | 1.40 | 4.50 |
| 12323 | სტრასბური-ნიმი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12363 | გიმარაეში-ბრაგა 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12364 | ლეიშოეში-ბენფიკა 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12379 | ვეილე-კოპენჰაგენი 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12388 | მოლდე-ბრანი 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12365 | სეტუბალი-მარიტიმუ 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13180 | მაინცი-ვეენი | 1.80 | 1.60 |
| 13323 | სტრასბური-ნიმი | 1.90 | 1.70 |
| 13363 | გიმარაეში-ბრაგა | 2.00 | 1.60 |
| 13364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 1.90 | 1.70 |
| 13366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 2.00 | 1.60 |
| 13379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 1.70 | 1.90 |
| 13388 | მოლდე-ბრანი | 1.60 | 2.00 |
| 13365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 2.00 | 1.60 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17180 | მაინცი-ვეენი | 1.85 | 1.95 |
| 17323 | სტრასბური-ნიმი | 1.85 | 1.95 |
| 17363 | გიმარაეში-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17364 | ლეიშოეში-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ბეშიქთაში-ჰაჯეთეფე | 1.85 | 1.95 |
| 17379 | ვეილე-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17388 | მოლდე-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17365 | სეტუბალი-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უბრალო ბიჭი სან ვინსენტედან



**ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი თავს უხერხულად გრძნობს. სულ რაღაც ერთი თვე, ანუ ხუთი თამაში და ორი გოლი აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მანჩესტერელებს ის ღმერთად მიეღით... რობინიოზე მოგახსენებთ. თურმე, ნუ იტყვით და, სადაც კი ის გაივლის, ფანების გადამეტებულ თაყვანისცემას, უფრო ზუსტად კი, ისეთ სალამს აწყდება, ჩვეულებრივ ეკლესიებში რომ არის მიღებული. არა, რობინიო ბრაზილიელია და თავად ამბობს, რომ ფეხბურთი მისთვისაც მეორე რელიგიაა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ის მხოლოდ და მხოლოდ ერთი სანვინსენტელი ბიჭია, რომელიც მთელი ამ ცერემონიებისგან თავს უხერხულად გრძნობს. მართლაცდა, როგორი მოსასმენია, რომ იგი ისტლენდის მფარველი ანგელოზია? და „სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 24 წლის, 32,5 მილიონ გირვანქად ნაყიდი თავდამსხმელი ფანებისთვის იმედის გამართლებას ნატრობს**

რობინიო ღიმილით ლაპარაკობს: „რასაკვირველია, ქუჩაში მცნობენ. ისინი ძალიან კეთილად მეპყრობიან. ეს ადამიანები იმდენ კარგ სიტყვას მეუბნებიან, რომ როგორც ფეხბურთელი, დიდ მოტივაციას ვიღებ. არადა, ჯერ არაფერი გამიკეთებია. არაფერი გამიკეთებია და უკვე ღმერთი ვარ... ძალიან მინდა, ფანებს ეს ყველაფერი დავუბრუნო. მინდა, მათ მიმართ ჩემი პატივისცემა გოლებით, დიდებული თამაშით და გამარჯვებებით გამოვხატო“.

ამბობენ, რომ პრემიერლიგის ცხრილში „სიტის“ მერვე ადგილზე ყოფნა სწორედ მადრიდის „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავის დამსახურებაა, მაგრამ რობინიო ახალი სამყაროთი სრულიად აღფრთოვანებული გახლავთ და კიდევ უფრო მაღალ პოზიციებს უმიზნებს.

რობინიო ამბობს: „ინგლისური ფეხბურთის ტემპი ძალიან განსხვავდება ყველაფრისგან, რაც აქამდე მინახავს და გამომიცდია. რიტმი საოცრად მაღალია და ეს ყველაფერი ხარისხით არის გაჯერებული — ასეთ მაღალ დონეს არ ველოდი. აშკარაა, პრემიერლიგა მსოფლიოში საუკეთესო ლიგაა. რაც შეეხება ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატებს შორის განსხვავებას, იგი იმაზე გაცილებით მცირეა, ვიდრე ჩემი კარიერის დასაწყისში წავაწყდი, ბრაზილიიდან ესპანეთში რომ გადავედი. მოედანი ესპანეთის მსგავსად ინგლისშიც სველია, რაც თამაშის ტემპს აჩქარებს. ყველაზე დიდი განსხვავება, ჩემი აზრით, მსაჯობასა და გულშემატკივრობაშია. აქ მსაჯები ხშირად არ უსტვენენ და თამაშს თავისი რიტმით განვითარების საშუალებას აძლევენ, ფანები კი ესპანელებზე მეტად არიან თამაშში ჩართული. ისინი ჩვენზე გაცილებით ძლიერად ზემოქმედებენ“.

რობინიო ახალ გარემოსთან, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ, გაცილებით მჭიდროდ აპირებს დაკავშირებას. თანაგუნდელები მის ინგლისურს რომ უსმენენ, გვარიანად ხალისობენ.

„ჩვენ ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის. საფეხბურთო ენა უნივერსალურია. ბურთთან ურთიერთობისთვის ენის ცოდნა საჭირო არც არის. მათ ჩემი კარგად ესმით და ვარჯიშებზე, როდესაც ხანდახან რაიმეს დავიყვირებ, ძალიან ხალისობენ. ჯერჯერობით ჩემი ინგლისური ათიდან ორ ქულას იმსახურებს, მაგრამ ჯერ გაკვეთილებზე დავდივარ და საერთოდაც, სახლი არ მაქვს, კიდევ სასტუმროში ვცხოვრობ. მარგამ მერწმუნეთ, როგორც კი სახლში გადავალ, საამისოდ დრო გამომიჩნდება და ექვს თვეში ათიდან ათს მივიღებ“.

ენაში ჯერ ვერა, მაგრამ საფეხბურთო ოსტატობაში რობინიომ უკვე მიიღო უმაღლესი შეფასება. დებიუტმა მოუწია კლუბთან, სადაც ასე ცდილობდა გადასვლას — „ჩელსისთან“ — და ეს დებიუტი საოცნებო გამოდგა: გოლი შეაგდო, თუმცა გამარჯვებით იმ შეხვედრაში „ჩელსიმ“ გაიმარჯვა, 3:1.

ამბობენ, რომ საჯარიმო დარტყმებში ნებისმიერი ბრაზილიელი სწორუპოვარია. რობინიომაც „ჩელსის“ სწორედ ჯარიმა გაუტანა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ისე არაფერს გაუკვირვებია, როგორც ამან გააკვირვა.

„რასაკვირველია, იმ მომენტებიდან, რომლებიც აქამდე მქონდა, საუკეთესო „ჩელსის“ კარში გოლის გატანის მომენტი გახლდათ. საუკეთესო კი არა, მეტიც იყო, რადგან ეს გოლი საჯარიმო დარტყმით გავიტანე. მე ხომ ჯარიმებს საშინლად ვურტყამ. იმ ჯარიმის დარტყმა კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ საკუთარი თავის საოცარი რწმენა ვიგრძენი. საერთოდ, დებიუტი ყოველთვის და ყველგან დიდებული მაქვს. როდესაც პირველად ვითამაშე „სანტოსში“, მოვიპოვე ჯარიმა, რომლიდანაც გამარჯვების გოლი გავიდა. შემდეგ, როდესაც მადრიდში გადავედი, სადებიუტო შეხვედრაში „კადისის“ წინააღმდეგ ვითამაშე დიდებულად, ასე რომ, იმ დღეს, „ჩელსის“ წინააღმდეგაც ვიცოდი, რომ რაღაც ძალიან კარგი მოხდებოდა. ყველაზე მეტად კი რა მახარებს, იცით? ის, რომ როგორც იქნა, ჩემს ნამდვილ პოზიციას დავუბრუნდი, რასაც ესპანეთში ვერა და ვერ ვეღირსე. დიახ, აქ, ინგლისში მეორე თავდამსხმელი გახლავართ, მოქმედების უდიდესი თავისუფლებით. შემიძლია, ნებისმიერ გადაადგილებაში მივიღო მონაწილეობა. მარცხენა ფრთას არ ვყავარ მიჯაჭვული“.

დასამალი რაა, მადრიდში ოთხწლიანი ცხოვრების შემდეგ, რობინიო ჩრდილოეთის ქალაქში, კერძოდ კი, ლონდონში გადასახლებას ცოტა შიშით უყურებდა...

ის კვლავ სიცილით ყვება: „აქ პლაჟი და მზე აშკარად არსად ჩანს, მაგრამ მანჩესტერში ცხოვრება ჯერჯერობით მაინც სიამოვნებას მანიჭებს. ელანომ ქალაქი დამათვალიერებინა და ნანახმა შთაბეჭდილება მოახდინა. ყოველ შემთხვევაში, ხალხის მონაყოლის მიხედვით, უარესს ველოდი. მოწყენილობას ველოდი, მაგრამ მშვენიერი რესტორნებიც დამხვდა და გასართობი ადგილებიც. არც კვებასთან დაკავშირებით მაქვს პრობლემა. მანჩესტერში მშვენიერი ბრაზილიური რესტორანი აღმოვაჩინე და მისი მუდმივი კლიენტი გავხდი“.

კი მაგრამ, ამინდი?

„ჰოო... ამინდი, ცოტა არ იყოს, პრობლემაა. ხშირად წვიმს და გარემო მეტწილად ნაცრისფერია, მაგრამ არა უშავს. შევეჩვევი“.



# ინფლაცია ანუ ყველას „ჩაქუჩთა“ ფული უნდა

**იცით,** რას აპირებს „შეფილდ იუნაიტედი“? ეს კლუბი კარლოს ტევესის საქმეზე კომპენსაციას რომ ითხოვს, ხომ ვიცით და ახლა ამ კომპენსაციის 50 მილიონ გირვანქამდე გაზრდა განუზრახავს.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ თავდაპირველად შეფილდელები 30 მილიონს ითხოვდნენ. ამბობდნენ, რომ მათი ანგარიშით, „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ ისინი სწორედ ამ თანხით დააზარალა. მოგეხსენებათ, ჩატარდა დამოუკიდებელი კვლევაც და ტრიბუნალმა, რომელსაც ლორდი გრიფითსი ხელმძღვანელობდა, მათი პრეტენზია სამართლიანად მიიჩნია, მაგრამ კონკრეტული ჯარიმა არ უანგარიშია. წესითა და რიგით, ამის შესახებ თემიდა პარასკევს უნდა დაფიქრებულიყო, მაგრამ „ვესტ ჰემმა“ საქმის თებერვლისკენ გადაწევა ითხოვა და „შეფილდიც“ დაყაბულდა, ოღონდ... საფასურიც მოითხოვა. ახლა ამბობენ, რომ 2006-07 წლების სეზონში პრემიერლიგიდან სხვის მაგივრად გავარდნა, თუ დროის ხანგრძლივ პერიოდზე გადავიანგარიშებთ, 30 მილიონზე მეტი დაჯდებოდა.

მათთვის, ვისაც ზუსტად არ ახსოვს: დღეს ჩემპიონატში, ანუ ინგლისური საკლუბო ფეხბურთის მეორე დონეზე მოთამაშე კლუბი, „შეფილდ იუნაიტედი“ აცხადებს, რომ ორი სეზონის წინ პრემიერლიგიდან არ გავარდებოდა, „ვესტ ჰემს“ არგენტინელი კარლოს ტევესი რომ არ ჰყოლოდა და მისი განსაკუთრებული ნიჭის წყალობით თამაშები არ მოეგო. ტევესი კი, როგორც გაირკვა, ლონდონელებს უკანონოდ ჰყოლიათ...

მართლაც, საოცრად თამაშობდა ტევესი იმ გაზაფხულზე, შვიდი გოლი გაიტანა, მათ შორის გამარჯვებისა თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში.

მაგრამ დახეთ, როგორ ირევა სიტუაცია: „ვესტ ჰემმა“ იმ წელიწადს განა მხოლოდ „შეფილდი“ დააზარალა? თავის წილ მაშინდელ ქულებს ითხოვს „ბოლტონიც“, ხოლო შეფილდელთა ორი წლის წინანდელი მწვრთნელი ნილ უორნოკი და ფეხბურთელები თავისას ეკიდებიან. რასაკვირველია, „ვესტ ჰემი“ თავის დროზეც დააჯარიმეს, 5,5 მილიონი გირვანქა გადაახდევინეს, მაგრამ, როგორც ხვდებით, ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც ყველა დაჩაგრული ერთად ითხოვს.

რად უნდა ლაპარაკი, რომ დაჩაგრულებისთვის ფულის უბრძოლველად გადახდას ლონდონური კლუბი არ აპირებს, მაგრამ „შეფილდის“ თავმჯდომარე კევინ მაკკეიბი მეტისმეტად დაჟინებული ადამიანია, ასე რომ, წინ დიდი გარჩევებია.

„პრემიერლიგიდან „ვესტ ჰემი“ უნდა გაეგდოთ, ჩვენ კი არა — ბობოქრობს მაკკეიბი — და ყველა, ვინც ამის გამო ფული დაკარგა, მართალია. ამ უსამართლობამ საკმაოდ ბევრი ადამიანი დაჩაგრა და ყველა მათგანისადმი დიდი სიმპათია მინდა გამოვხატო. და რას აკეთებს ასეთ დროს პრემიერლიგა? მე, პირადად ბოდიშის წერილსაც სიამოვნებით მივიღებდი. მათ ხომ ძალიან კარგად იციან, რომ „შეფილდ იუნაიტედი“ უსამართლოდ დაიჩაგრა“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ინგლისი

## პრემიერლიგა
## VII ტური

### სიტი 2:3 ლივერპული

1:0 აირლენდი (19), 2:0 გარიდო (41), 2:1, 2:2 ტორესი (55, 73), 2:3 კუიტი (90)
სიტი: ჰარტი, საბალეტა, დანი, რიჩარდსი, გარიდო, რაიტ-ფილიპსი, აირლენდი, კომპანი, ელანო (პეტროვი 85), რობინიო (ევანსი 80), ჟო (ფერნანდესი 70)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, აურელიუ (დოსენა 70), მასკერანო (კინი 71), კუიტი, ჯერარდი, ალონსო, რიერა (ბენაიუნი 81), ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: დანი, არბელოა
გაძევება: საბალეტა (67)
მსაჯი: პიტერ უოლტონი
47 280 მაყურებელი

### ჩელსი 2:0 ასტონ ვილა

1:0 ჯო კოული (21), 2:0 ანელკა (44)
ჩელსი: ჩეხი, ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ეშლი კოული, მიკელი, ჯო კოული (კალუ 57), ბალაკი, ლამპარდი, მალუდა (ბელეტი 83), ანელკა (დი სანტო 46)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
ასტონ ვილა: ფრიდელი, ლუკ იანგი (მილნერი 46), დეივისი (კუელიარი 46), ლაურსენი, შორი, რეო-კოკერი, პეტროვი, ბერი, ეშლი იანგი, კარეუ (ჰეირვუდი 71), აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: კუელიარი, პეტროვი, შორი
მსაჯი: კრის ფოი
41 593 მაყურებელი

### ევერტონი 2:2 ნიუკასლი

1:0 არტეტა (173), 2:0 ფელაინი (35), 2:1 ტეილორი (45), 2:2 დაფი (47)
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იაგიელკა, ლესკოტი, ბეინსი, არტეტა, ოსმანი, ფელაინი, პიენარი (ვოენი 84), საა (ანიჩებე 72), აიეგბენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ნიუკასლი: გივენი, ტეილორი, კოლოჩინი, კასაპა, ხოსე ენრიკე (ბასონგი 39), ჟერემი (ამეობი 75), ბატი, გეტრი, ნზოგბია, ოუენი, დაფი
მწვრთნელი: ჯო კინეარი
გაფრთხილება: ფელაინი, ნზოგბია, ბუტი, ჟერემი
მსაჯი: ჰოვარდ ვები
33 805 მაყურებელი

### ტოტენჰემი 0:1 ჰალი

0:1 ჯოვანი (9)
ტოტენჰემი: გომეში, განტერი (ბენტლი 55), ჩორლუკა, ვუდგეიტი, ბეილი, ლენონი (ჯოვანი დოს სანტოსი 74), ჯენასი, ზოკორა, მოდრიჩი, პავლიუჩენკო (ბენტი 35), კემპბელი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ჰალი: მაიჰილი, მაკშეინი, ტერნერი, ზაიატი, დოუსონი, მარნი, ეშბი, ბოატენგი, ჯოვანი (ჰალმოში 71), კინგი (ფოლანი 81), კუზენი (მენდი 60)
მწვრთნელი: ფილ ბრაუნი
გაფრთხილება: ჯენასი, ლენონი, ბენტი, კემპბელი, ეშბი, ბოატენგი
მსაჯი: რობ სტაილზი
36 062 მაყურებელი

### პორტსმუთი 2:1 სტოკი

1:0 კრაუჩი (25), 1:1 ფულერი (48), 2:1 დეფო (51)
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ბელჰაჯი, დიოპი, დევისი, ჰიუზი, ტრაორე (რეიდარსონი 90), კრაუჩი, დეფო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
სტოკი: სიმონსენი, გრიფინი, კორტი, აბდულაი ფაიე, ჰიგინბოთემი, დელაპი (კრესუელი 74), ოლოფინიანა, ამდი ფაიე, ტონგე (სოარეში 65), ფულერი, კიტსონი (სიდიბე 61)
მწვრთნელი: ტონი პულისი
გაფრთხილება: ოლოფინიანა, სიმონსენი, ამდი ფაიე
მსაჯი: ანდრე მარინერი
19 248 მაყურებელი

### ბლექბერნი 0:2 მანჩესტერი

0:1 ვ. ბრაუნი (31), 0:2 რუნი (64)
ბლექბერნი: ჯ. ბრაუნი, ოიერი, სამბა, ნელსენი, ოლსონი, ემერტონი, თუგაი (ენდროუსი 68), უორნოკი, პედერსენი (ტრისი 58), დერბიშირი, სანტა კრუსი (რობერტსი 50)
მწვრთნელი: პოლ ინსი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (ოში 71), კრიშტიანუ რონალდუ, ფლეტჩერი, ანდერსონი, გიგზი (ტევესი 66), ბერბატოვი, რუნი (პარკი 77)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პედერსენი, სამბა, ფლეტჩერი
მსაჯი: სტივ ბენეტი
27 321 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 1:3 ბოლტონი

0:1 დეივისი (30), 0:2 კეჰილი (34), 1:2 კოული (69), 1:3 ტეილორი (86)
ვესტ ჰემი: გრინი, ფობერი, ნილი, აპსონი, ილუნგა, ბეჰრამი, პარკერი, ნობლი, დი მიკელე (ბელამი 54), ეთერინგტონი (სირსი 79), კოული
მწვრთნელი: ჯანფრანკო ძოლა
ბოლტონი: იაასკელაინენი, სტეინსონი, ენდრიუ ობრაიენი, კეჰილი, სემიუელი, დეივისი, ნოლანი, მაკკანი, მუამბა (ჯოი ობრაიენი 80), გარდნერი, ელმანდერი (ტეილორი 73)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ნობლი, ფობერი, ბელამი, პარკერი, ნოლანი, ტეილორი, ენდრიუ ობრაიენი
მსაჯი: მაიკ დინი
33 715 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:1 არსენალი

1:0 ლიდბიტერი (86), 1:1 ფაბრეგასი (90)
სანდერლენდი: გორდონი, შიმბონდა, ფერდინანდი, კოლინზი, მაკარტნი, მალბრანკი (ჩოპრა 87), უაიტჰედი, იორკი (ლიდბიტერი 84), რიდი, რიჩარდსონი, სისე (მერფი 88)
მწვრთნელი: როი კინი
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, უოლკოტი (ბენდტნერი 66), დენილსონი (ნასრი 73), ფაბრეგასი, სონგი (ველა 87), ვან პერსი, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: უაიტჰედი, რიჩარდსონი, იორკი, კლიში, ტურე, ადებაიორი, ბენდტნერი
მსაჯი: ლი მეისონი
40 199 მაყურებელი

### უიგანი 0:1 მიდლსბრო

0:1 ალიადიერი (89)
უიგანი: კირკლენდი, მელხიოტი, ბრემლი, ზარნერი, ფიგეროა, ვალენსია, კეტერმოლი, პალასიოსი (დე რიდერი 86), კაპო (კუმასი 67), ზაქი (კამარა 81), ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მიდლსბრო: ტერნბული, ჰოიტი, ვიტერი, რიგოტი, გრაუნდსი, ალიადიერი, ონილი, შავქი (დიგარდი 58), დაუნინგი, ალვეში (ჯონსონი 79), მიდო
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
გაფრთხილება: ზაქი, კეტერმოლი, ზარნერი
მსაჯი: მარტინ ეტკინსონი
16 806 მაყურებელი

### ვესტ ბრომვიჩი 1:0 ფულემი

1:0 ბედნარი (61)
ვესტ ბრომვიჩი: კარსონი, ზუივერლონი, დონკი, ოლსონი, რობინსონი, მორისონი (ჩეხი 79), კორენი, გრინინგი, ბორხა ვალერო, მილერი (მური 64), ბედნარი
მწვრთნელი: ტონი მოუბრეი
ფულემი: შვარცერი, პენტსილი (სტოკერი 82), ჰიუზი, ჰანგელანდი, კონჩესკი, დეივისი, ბალარდი, მერფი (ანდრეასენი 87), გერა, ზამორა (სიმლი 71), დემპსი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: ოლსონი, ბორხა ვალერო, ანდრეასენი
მსაჯი: ფილ დაუდი
25 708 მაყურებელი

# მზაკვარი ბენეტი


პორტსმუთელ პიტერ კრაუჩს მეორე სართულზე კონკურენტი არ ჰყავს

უნამუსო და მზაკვარი უწოდა პოლ ინსმა მსაჯ სტივ ბენეტის საქციელს, რომელმაც „ბლექბერნის" კარში უესლი ბრაუნის გოლი ჩათვალა.

გოლამდე ნემანია ვიდიჩმა მასპინძელთა მეკარე ჯეისონ ბრაუნს იდაყვი ჰკრა და წააქცია, უესლი ბრაუნმა კი თავით გაიტანა.

„მე არ ვამტკიცებ, რომ თამაშს მოვიგებდით, თუ ამ გოლს არ ჩათვლიდნენ, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდებოდა, ტაიმი 0:0 რომ დასრულებულიყო, მთავარმა მსაჯმაც და გვერდითმაც აშკარა ჯარიმაზე თვალი დახუჭეს და ეს უნამუსობაა. მზაკვრულად მოგვექცნენ" — თქვა „ბლექბერნის" მწვრთნელმა.

ალექს ფერგიუსონი: „კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარგახანს მოფრინავდა, ჯეისონ ბრაუნს შეეძლო დროულად გამოსვლა და მისი დაჭერა, მაგრამ ვერ მოახერხა და ბოლოს ვიდიჩს დაეჯახა".

მეორე გოლი უეინ რუნიმ რონალდუს პასით შეაგდო — მარჯვენა ფლანგიდან მიღებული ბურთი შორ კუთხეში ჩააზრიალა. ეს იყო 22 წლის რუნის მე-200 მატჩი პრემიერლიგაში. ამდენი მის ასაკში აქამდე არავის უთამაშია.

მუხლებზე დაჩოქილმა და ბალახში თავჩარგულმა გრანტ ლიდბიტერმა მოედნის კიდესთან იტირა მას შემდეგ, რაც „არსენალს" საუცხოო გოლი გაუტანა. შეცვლაზე ორი წუთის შესულმა ლიდბიტერმა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა, ბურთი კი ხარიხიდან კარში ჩაეშვა. „არსენალი" პრემიერლიგაში ზედიზედ მეორე მარცხისგან სესკ ფაბრეგასმა იხსნა, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი საგოლედ დაუხვედრა.

არსენ ვენგერმა თქვა, რომ „სანდერლენდის" დაცვითმა ტაქტიკამ მის გუნდს გასაქანი არ მისცა: „მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა, მაგრამ მასპინძლებმა დაცვაში საუცხოოდ ითამაშეს. გუნდი, რომელიც თავიდან ბოლომდე უტევს, წესით, გოლით უნდა დაჯილდოვდეს. თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება. ჩვენ ცოტა სისწრაფე გვაკლდა. მათ ბურთი დაგვითმეს და გვითხრეს, 0:0-ზე თანახმა ვართ და თუ შეგიძლიათ, გაგვიტანეთ, მაგრამ კინაღამ წავაგეთ".

როი კინი: „შარშან აქ „მანჩესტერს" 4-4-2-ით ვეთამაშეთ და 0:4 წავაგეთ. ახლა ვიცი, რომ ტოპკლუბებს უფრო მკაცრი დაცვა უნდა დავუყენო. როგორც ხედავთ, დაცვითმა ტაქტიკამ დღეს გაამართლა".

„ფულემმა" ზედიზედ მესამე გასვლითი მატჩი წააგო — ამჯერად „ვესტ ბრომვიჩთან", რომლის ჩეხმა ფორვარდმა რომან ბედნარმა მეკარის შეცდომით ისარგებლა და ახლოდან გაიტანა.

მასპინძელთა მწვრთნელი ტონი მოუბრეი: „მეორე ტაიმში კარგი თამაშით გამარჯვება დავიმსახურეთ. მეტოქეზე უკეთ ვუტევდით, ბევრი მომენტიც გვქონდა და სამი ქულა გვეკუთვნოდა. ეს შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფეხბურთელებს თავდაჯერებულობას შემატებს და იგრძნობენ, რომ პრემიერლიგის გუნდებთან ტოლსწორად თამაში შეიძლება".

ჟერემი ალიადიერის გოლით სტუმრად პირველი გამარჯვება მიითვალა „მიდლსბრომ". ბოროელებმა „უიგანს" ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყვიტეს. ალიადიერმა ბურთი მკერდიდან დაუშვა და კარში შეასრიალა. „უიგანს" ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ სტუმართა მეკარე როს ტერნბულმა საუცხოოდ ითამაშა.

„სიტის" „ლივერპულის" კარში სამი წელი გოლი არ გაეტანა და გუშინ 23 წუთში ერთბაშად ორი შეაგდო, მაგრამ არ შეერგო. საიმონ აირლენდმა ახლოდან დარტყმით დააწინაურა მასპინძლები, გრიდომ კი საჯარიმო საუცხოოდ შეასრულა.

მეორე ტაიმში „ლივერპულმა" იგივე ჩაიდინა, რაც „მანჩესტერთან" და „მარსელთან" უკვე მოახერხა — თამაში სათავისოდ შემოაბრუნა. ფერნანდო ტორესის დუბლს დირკ კუიტმა ბოლო წუთზე მესამე მიაყოლა და რაფაელ ბენიტესის გუნდში კვლავაც წაუგებელია.

მარცხის გემო არ იცის ლუიშ ფელიპე სკოლარის „ჩელსიმაც", რომელმაც ჯო კოულის და ნიკოლა ანელკას საპირველტაიმო გოლები იკმარა „ასტონ ვილასთან".

„ტოტენჰემის" საქმე ისე უკან მიდის, რომ იმის უკან უკვე ქვედა დივიზიონია. ხუანდე რამოსის გუნდისგან სეზონში პირველ გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ „ჰალმა" მორიგი სასწაული ჩაიდინა. ფილ ბრაუნის „ვეფხვებმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს. ჯერ „არსენალი" გაამწარეს, გუშინ კი „ტოტენჰემი". ჯოვანიმ 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით კოხტა გოლი გაიტანა.

„ვესტ ჰემის" მეკარე რობერტ გრინი „ბოლტონთან" 30-ე წუთზე შეცდა — ბურთი მეტოქე კევინ დეივისს დაუგდო და სტუმარმაც ცარიელ კარში შეაგორა. ამას უმალ მოჰყვა მეორე გოლი და „ჩაქუჩებმა" ორბურთიანი სხვაობის გაბათილება ვეღარ მოახერხეს — ჯანფრანკო ძოლას ხელში პირველი მარცხი იგემეს. კარლტონ კოულს ერთი საპასუხო ტეილორმა არ შეარჩინა და „ბოლტონმა" სტუმრად პირველი მატჩი მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:3 | 17 |
| ლივერპული | 7 | 5 | 2 | 0 | 10:4 | 17 |
| ჰალი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:11 | 14 |
| არსენალი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 13 |
| ასტონ ვილა | 7 | 4 | 1 | 2 | 12:10 | 13 |
| ვესტ ჰემი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:13 | 12 |
| პორტსმუთი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:13 | 12 |
| მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 10 |
| ბლექბერნი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:14 | 10 |
| სიტი | 7 | 3 | 0 | 4 | 18:12 | 9 |
| მიდლსბრო | 7 | 3 | 0 | 4 | 7:9 | 9 |
| უიგანი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:6 | 8 |
| სანდერლენდი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| ევერტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:15 | 8 |
| ბოლტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| ფულემი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:7 | 6 |
| ნიუკასლი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| სტოკი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:14 | 4 |
| ტოტენჰემი | 7 | 0 | 2 | 5 | 4:10 | 2 |

**VIII ტური**
**18 ოქტომბერი**
არსენალი — ევერტონი
ასტონ ვილა — პორტსმუთი
ბოლტონი — ბლექბერნი
ფულემი — სანდერლენდი
ჰალი — ვესტ ჰემი
ლივერპული — უიგანი
მანჩესტერი — ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო — ჩელსი
ნიუკასლი — სიტი
სტოკი — ტოტენჰემი

## ჩემპიონლიგა
### X ტური

ბლექპული — კარდიფი 1:1; ბირმინგემი — ქუინზ პარკი 1:0; ჩარლტონი — იფსვიჩი 2:1; რედინგი — ბარნლი 3:1; ნორვიჩი — დერბი 1:2; შეფილდი — ბრისტოლი 3:0; ნოტინგემი — კრ. პალასი 0:2; სუონსი — ვულვზი 3:1; ბარნსლი — დონკასტერი 4:1; პლიმუთი — უენსდი 4:0; უოტფორდი — პრესტონი 2:1; ქოვენთრი — საუთჰემპტონი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 9 | 6 | 2 | 1 | 11:5 | 20 |
| ვულვზი | 9 | 6 | 1 | 2 | 22:13 | 19 |
| რედინგი | 9 | 5 | 2 | 2 | 22:11 | 17 |
| სუონსი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 15 |
| კარდიფი | 9 | 3 | 6 | 0 | 10:7 | 15 |
| შეფილდი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:6 | 14 |
| ქუინზ პარკი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:9 | 14 |
| ქოვენთრი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:9 | 14 |
| პრესტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 11:11 | 14 |
| ბრისტოლი | 9 | 3 | 4 | 2 | 13:10 | 13 |
| ჩარლტონი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:10 | 13 |
| პლიმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| ბლექპული | 9 | 3 | 3 | 3 | 7:9 | 12 |
| ბარნლი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:14 | 12 |
| უენსდი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:17 | 12 |
| იფსვიჩი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:10 | 11 |
| კრ. პალასი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | 11 |
| უოტფორდი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| დერბი | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 10 |
| ნორვიჩი | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | 9 |
| საუთჰემპტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | 8 |
| ბარნსლი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:12 | 7 |
| დონკასტერი | 9 | 2 | 1 | 6 | 5:15 | 7 |
| ნოტინგემი | 9 | 1 | 2 | 6 | 7:17 | 5 |

## I ლიგა
### IX ტური

პიტერბორო — ლიდსი 2:0; ბრაიტონი — ჩელტენემი 3:3; კარლაილი — ტრანმერი 1:2; კოლჩესტერი — როვერსი 0:1; ქრიუ — ნორთჰემპტონი 1:3; ჰერეფორდი — უოლსოლი 0:0; ჰადერსფილდი — ლესტერი 2:3; ლეიტონი — სკანთორპი 2:2; მილუოლი — დონსი 0:4; იოვილი — საუთენდი 1:2

## II ლიგა
### IX ტური

ალდერშოტი — ბერი 3:3; ბარნეტი — აკრინგტონი 2:1; ბრედფორდი — ლუთონი 1:1; ბრენტფორდი — მაკლსფილდი 1:0; ჩესტერი — ლინკოლნი 0:2; დარლინგტონი — შრუსბერი 1:1; ექსეტერი — ჯილინგემი 3:0; მორკემბი — ჩესტერფილდი 2:2; პორტ ვეილი — ნოტსი 1:2; როჩდეილი — დაგენემი 0:2; როტერჰემი — გრიმსბი 4:1; უიკომბი — ბორნმუთი 3:1

## სამხრეთ კონფერენსლიგა

ბასინგსტოკი — სტ ალბანსი 1:2; ბიშოფსი — უელინგი 0:1; ბოგნორი — ბათი 0:2; ჩელმსფორდი — ისტლი 3:0; ჰეიესი — ბრეინთრი 0:1; მეიდენჰედი — დორჩესტერი 2:1; ნიუპორტი — ბრომლი 3:0; თიმ ბათი — ჰავანთი 1:0; უესტონი — თაროკი 2:1; უორჩესტერი — უიმბლდონი 3:2; ფიშერი — ჰემპტონი 0:2

## ჩრდილოეთ კონფერენსლიგა

ტელფორდი — უორკინგტონი 0:0; ალფრეტონი — დროილსდენი 2:3; ბლითი — კინგს ლინი 2:4; ფარსლი — ჰაკნოლი 4:0; გეინსბორო — ფლიტვუდი 3:4; ჰინკლი — ბარსკო 0:1; საუთპორტი — სოლიჰალი 3:0; სტეფორდი — ჰაროგეიტი 0:0; სტელიბრიჯი — რედიჩი 3:3; ტიმუორთი — ჰაიდი 2:0; ვოქსჰოლი — გეითსჰედი 1:2

## კონფერენსლიგა
### XIII ტური

ალტრინჩემი — ებსფლიტი 2:0; ბარტონი — ქროული 2:1; ფორესტ გრინი — რექსემი 2:3; გრეისი — ლიუსი 0:0; ჰისტონი — სელისბერი 2:0; კეტერინგი — ნორთვიჩი 2:1; კიდერმინსტერი — ბაროუ 0:1; ოქსფორდი — რაშდენი 2:1; ტორკი — სტივენეიჯი 3:0; ვეიმუთი — ისტ ბორნი 3:2; იორკი — კემბრიჯი 0:0; მენსფილდი — უოკინგი 0:1

# ეს არ უნდა მომხდარიყო

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### VII ტური

**არმინია 1:2 კარლსრუე**

0:1 პორჩელო (16), 0:2 ფრაისი (52), 1:2 პერციგი (86)
**არმინია:** აილჰოფი, ლამეი, პერციგი, კუჩერა, შულერი, კაუფი, მარქსი (ლაასი 71), ტეშე (სადიქი 56), კატონგო, ჰალფარი (კამპერი 56), ვიხნიარეკი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
**კარლსრუე:** კორნეცკი, ჩელოცი, სებასტიანი, ფრანცი, აიხნერი, მუცელი, პორჩელო (ადუბე 80), ფრაისი, და სილვა (კარნელი 87), იაშვილი, კენედი (კაპლანი 80)
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
გაფრთხილება: ვიხნიარეკი, პენციგი, ფრაისი, კაპლანი
მსაჯი: ვაინერი
20 900 მაყურებელი

**შტუტგარტი 4:1 ვერდერი**

1:0 ხედირა (18), 2:0 ტრეში (29), 3:0 ჰილბერტი (63), 3:1 დიეგო (65), 4:1 ლანიგი (88)
**შტუტგარტი:** ლემანი, ტრეში, თაშჩი, ოსორიო, მანინი (კოვაჩევიჩი 83), ხედირა, ჰიცლშპერგერი, ჰილბერტი, ბოკა (რუდი 77), გომესი (ლანიგი 87), კაკაუ
მწვრთნელი: არმინ ფეე
**ვერდერი:** ვიზე, ფრიცი, პროოდლი (ალმეიდა 79), ნალდო, პასანენი, ბაუმანი (ჰუნტი 46), ფრინგსი, ოზილი, დიეგო, როზენბერგი, პისარო (სანოგო 46)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: გომესი, ბოკა, ლემანი, ფრიცი, დიეგო, პასანენი, ჰუნტი
მსაჯი: ფანდელი
55 000 მაყურებელი

**ჰოფენჰაიმი 2:1 აინტრახტი**

1:0 ბა (47), 1:1 შტაინჰოფერი (66), 2:1 ბა (71)
**ჰოფენჰაიმი:** ჰაასი, ბეკი, იაისლე, კომპერი, იბერცბერგერი, ვაისი, ლუიშ გუსტავუ, სალიჰოვიჩი (ფორსა 76), ობასი (ედუარდუ 75), იბიშევიჩი (ტებერი 90), ბა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, ოხსი, რუსი, ბელაიდი (კაიო 63), გალინდო, შტაინჰოფერი (მამდავიქია 71), ინამოტო, კიოლერი, შპიხერი, ტოსკი (ლიბეროპულოსი 84), ფენინი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ლუიშ გუსტავუ, გალინდო, ინამოტო, კიოლერი
მსაჯი: ფლაიშერი
26 300 მაყურებელი

**ბაიერნი 3:3 ბოხუმი**

1:0 ვან ბუიტენი (15), 1:1 სინანი (29), 2:1, 3:1 ზე რობერტუ (45, 68), 3:2 დაბროვსკი (83), 3:3 გროტე (85)
**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიუ, ვან ბუიტენი, ლამი, დემიკელისი, ზე რობერტუ (ბოროვსკი 78), შვაინშტაიგერი (სოსა 69), რიბერი, ტონი, კლოზე (პოდოლსკი 69)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
**ბოხუმი:** ფერნანდესი, პფერცელი, მალტრიცი, მავრაი, ფუხსი, შრიოდერი, დაბროვსკი, ფრაიერი (გროტე 73), აზაუალი, შესტაკი, სინანი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: სოსა, ოდო, ფრაიერი, მავრაი, სინანი
მსაჯი: რაფატი
69 000 მაყურებელი

**გლადბახი 1:2 კიოლნი**

0:1 ერეტი (5), 1:1 ბროუვერსი (10), 1:2 ნოვაკოვიჩი (88)
**გლადბახი:** ჰაიმეროტი, გოჰური, ბროუვერსი (ბაუმიოჰანი 75), დამსი, ფორი, ალბერმანი (კოლაუტი 90), პააუვე მატმური, მარინი, ფრენდი, ნოივილი
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
**კიოლნი:** მონდრაგონი, ბრეჩკო, გერომელი, მოჰამადი, ვომე, პეტიტი (მაკენა 90), პეცონი, ვუჩიჩევიჩი (რადუ 84), ანტარი, ერეტი (შიპი 69), ნოვაკოვიჩი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ბროუვერსი, ალბერმანი, გოჰური, ბრეჩკო
მსაჯი: პერლი
54 067 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:1 ჰერტა**

0:1 ვორონინი (89)
**ლევერკუზენი:** ადლერი, კასტრო, ფრიდრიხი, ენრიკე კადლეცი, როლფესი, არტურ ვიდალი (დუმი 79), ბარნეტა, ჰელმესი, კისლინგი (გეკასი 71)
მწვრთნელი: ბრუნო ლაბადია
**ჰერტა:** დრობნი, შაპედი, ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ფონ ბერგენი, დარდაი, სისერო, რაფაელი (დომოვჩიისკი 87), ნიკუ, ვორონინი, პანტელიჩი (ლუსტენბერგერი 82)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: ენრიკე, შიმუნიჩი, სისერო
მსაჯი: კირხერი
19 200 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 ჰანოვერი**

1:0 ვალდესი (10), 1:1 ფორსელი (25)
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ლი, სუბოტიჩი, კოვაჩი, შმელცერი, კელი, ტინგა (საჰინი 71), კრინგე (ფრაი 46), ჰაინალი, ბლაშჩიკოვსკი, ვალდესი (კლიმოვიჩი 83)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, რაუში, ბალიჩი (ლალა 76), შულცი (ეგიმანი 71), სტაინერი, შლაუდრაფი (კრებსი 83), ჰუსტი, ფორსელი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: სუბოტიჩი, კლიმოვიჩი, რაუში
მსაჯი: შტარკი
66 900 მაყურებელი

**შალკე 2:2 ვოლფსბურგი**

1:0 კურანი (20), 1:1 ძეკო (51), 1:2 კაიუბი (66), 2:2 კურანი (90)
**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ქობიაშვილი, ჯოუნსი (სანჩესი 77), ვესტერმანი, ენგელარი, ფარფანი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი
მწვრთნელი: ფრედ რუტენი
**ვოლფსბურგი:** ბენალიო, ძაკარდო, კოშტა, ბარძალი, შეფერი, რიტერი, ჟოსუე, დეჟაგა (კაიუბი 65, მადლუნგი 74), მისიმოვიჩი, გენტნერი (შასენე 65), ძეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ბორდონი, ჯოუნსი, კრსტაიჩი, კურანი, რიტერი, მისიმოვიჩი
გაძევება: კოშტა (72)
მსაჯი: გრეფე
61 673 მაყურებელი

**კოტბუსი 1:2 ჰამბურგი**

0:1 ოლიჩი (54), 1:1 იელიჩი (74), 1:2 პეტრიჩი (90)
**კოტბუსი:** ტრემელი, პავიჩევიჩი (რადელიჩი 85), კუკელკა, სვიტანოვიჩი, კაგდასი, ანგელოვი, როსტი, სიორენსენი (იულა 68), ვასილიევიჩი (მიტრესკი 63), ილიევი, იელიჩი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
**ჰამბურგი:** როსტი, დემელი, რაინჰარდტი, მატჰაისენი, ატუბა (იანსენი 8), იაროლიმი, დე იონგი, ტროხოვსკი, გერერო (პიტროიპა 86), ოლიჩი, პეტრიჩი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: როსტი, კაგდასი, იაროლიმი, ოლიჩი, დემელი
მსაჯი: შმიდტი
17 007 მაყურებელი



იურგენ კლინსმანი და ული ჰოენესი: „ბაიერნმა" კვლავ ვერ მოიგო

„ბაიერნის" კარში გოლის გატანა გაიოლდა. „ვერდერმა" 5 შეაგდო, მერე ერთი — „ჰანოვერმა", შაბათს კი სამი — „ბოხუმმა", რომელსაც მანამდე სტუმრად ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი ჰქონდა გატანილი.

